საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 12 ივნისი. 2020 წ. №72 (8998) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქვეყნის მოღალატე ნაციონალებმა ამერიკელი კონგრესმენები იმ ქვევრად აქციეს, თავიანთ ჩაძახილს ხმირად რომ ამოაძახებინებენ ხოლმე!..

კელი დეგნანი: გუბაზ სანიკიძის განცხადება აბსურდია!

საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ყოფილი დეპუტატისა და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის გუბაზ სანიკიძის განცხადებას, რომ ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო საუბრები საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ ისმინება, აბსურდსა და ტყუილს უწოდებს.

„ეს არის აბსურდი. დავინტერესდები, თუ რა არის ამგვარი ბრალდებების საფუძველი, რაც პრაქტიკულად ტყუილია“, – განაცხადა დეგნანმა. გუბაზ სანიკიძე ამბობს,რომ „ამერიკის საელჩო ბიძინა ივანიშვილის საუბრებს ისმენს“.

„20 ივნისის ღამეს, ზუსტად 13 წუთით ადრე გამოვიდა ბახტაძე და თქვა, რომ ჩვენ „ნაციონალური მოძრაობა“ არ ვართ და ჩვენ არ ვესვრით რეზინის ტყვიებს. ზუსტად 13 წუთში სროლა დაიწყო. ჩემი ვერსიით, ეს 13 წუთი ზუსტად ის დროა, რამდენიც დასჭირდა ანზორ ჩუბინიძეს, რომ ჩამოსულიყო ბიძინას რეზიდენციიდან, რადგან ბიძინა ტელეფონით არ გასცემდა ამ ბრძანებას. ეს გამორიცხულია, რადგან დარწმუნებული ვარ, ამერიკის საელჩო მის საუბრებს ისმენს. ეს კანონიერია თუ უკანონოა, არ ვიცი“.

ჩემთვის ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა კვლავ ძლიერი რჩება

ჩემთვის ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა კვლავ ძლიერი რჩება, – ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა. ელჩს ჟურნალისტებმა 13 კონგრესმენის მომზადებულ ანგარიშთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა.

„მე წერილი არ მინახავს, გორში ვიყავი და არ მინახავს დეტალები. წარსულში როდესაც იყო კომუნიკაცია კონგრესში, ეს განპირობებულია იმით, რომ ისინი აქტიურად აკვირდებიან საქართველოს, ისინი ზრუნავენ საქართველოზე, აღიარებენ საქართველოს მნიშვნელობას და სურთ, რომ საქართველო იყოს წარმატებული. სტრატეგიული პარტნიორობა, რაც ჩვენ გვაქვს, ორივე ქვეყნისთვის ცენტრალურია. რაც შეეხება 13 კონგრესმენის ანგარიშში ბიძინა ივანიშვილის მოხსენიებას, კელი დეგნანმა აღნიშნულ საკითხზე განაცხადა, რომ ეს აშშ-ის ოფიციალური პოზიცია არ არის.

„ეს არ არის აშშ-ის ოფიციალური პოზიცია. არ შემიძლია ვისაუბრო ჩემი მთავრობის საკანონმდებლო განშტოების სახელით. მე სხვა განშტოებას წარმოვადგენ. კარგია, თუ კითხვას კონგრესს დაუსვამთ. მე ვიცი, რომ აშშ ეძებს თანამშრომლობის მიმართულებებს საქართველოსთან, რადგან ჩვენ გვჯერა საქართველოს მომავლის და წარმატების. ჩვენი აქ ყოფნით ხაზს ვუსვამთ ვალდებულებას, რომ ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს“, – განაცხადა დეგნანმა.

რედაქციისგან: შეცდომის უფლება არ გვაქვს!

ამ ბოლო დროს კორონავირუსმა პოლიტიკაშიც გადაინაცვლა. თუ თვითონ სენი უშუალოდ ჩვეულებრივ ადამიანებს დაერია, პოლიტიკური კორონა სამაგიეროდ ცალკეულ პიროვნებებს ეტაკა „პოლიტიკური ჯანმრთელობის“ დაზიანების მიზნით. ამის აშკარა დადასტურებაა აგერ ახლა აშშ-ის კონგრესის რესპუბლიკური პარტიის 13 (SIC!) წევრისგან შემდგარი ჯგუფის „ანგარიში“, რისი მიხედვითაც **ივანიშვილი თურმე პუტინის ახლო მოკავშირეა და რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს დესტაბილიზაციაშია ჩაბმული“.**

ამაზეა ზედგამოჭრილი აგანგალა, განგალაო!

ისიც აშკარაა, რომ ამ 13 კონგრესმენისთვის ვითომც „პარტნიორული ტვინი“ ვიღაც ჩვენებურ არამზადებს გადაუბრუნებია, რომელნიც წინასაარჩევნოდ ფეხებზე წელებს იხლართავენ, რათა როგორმე სახელი გაუტეხონ ბიძინა ივანიშვილს და ამით დიახაც წინასაარჩევნო ქულები დააგროვონ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ტყუილს არა მარტო იმდენად მოკლე ფეხები აქვს, რომ მართალ საქმეს ვერ ერევა, არამედ ბოროტ ჭორად გადაიქცევა ხოლმე და გულუბრყვილო ადამიანის ისედაც მერყევ ტვინს კიდევ უფრო ურყევს და ურეცხავს.

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს ახლა საქმე!

კიდევ კარგი, ამ რვა წლის განმავლობაში ხალხმა გაიგო, რა მიზნებიც ამოძრავებს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც უკვე თავისი კუთვნილი სამი მილიარდი დოლარი დაახარჯა საქვეყნო საქმეს. თუნდაც მარტო ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი რად ღირს, რომლის მშენებლობასაც ერთი მილიარდი დოლარი მოუნდება, ან წყალტუბოსა და აბასთუმნის განახლება! და ეს კაცი, **„რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს დესტაბილიზაციაშია ჩართული?!“** ეს არა მარტო ჭორი და ტყუილია, არამედ აშკარად უდღეური მავნებლური აზრია, რასაც გონებაგახსნილი ბავშვიც არ დაიჯერებს.

ერთი სიტყვით, პოლიტიკურად გაუმაძღარი სააკაშვილის სპა ღობეყორეს ედება, რომ როგორმე ისევ მოიკვარახჭინოს ხელისუფლება და რაც ხელისუფლებაში წინა ყოფნის დროს ვერ მოასწრო, ამჯერად შეივსოს ახლა უკვე მრავალუძიროჯიბიანი პოლიტიკური ქლამინდი.

მაგრამ არა! ცხადია, რომ სამარცხვინო დამარცხებისთვის განწირულ ნაციონალთ ვერც რუსული დუმა უშველის და ვერც კიდევ ამერიკული კონგრესი!

მთავარი სიტყვა ავზნე ნაციონალთაგან გამწარებულ ქართველ ხალხს ეკუთვნის, რომელსაც ამჯერად შეცდომის უფლება აღარა აქვს!

ქართული იარაღი პირველად ნატოს შეიარაღებაში 5

გოქსელ გენჩი - თურქი „ოსტაპ ბენდერი“?(2) 4

ივერი ფრანგიშვილი – 90:

სიტყვა მეცნიერულ, სამყაროსეულ და ადამიანურ განზომილებათა სიღრმეებში მზერაჩაბრუნებულ მკვლევარზე 7

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი წელს პირველ 1000 სტუდენტს მიიღებს! 3

8

ნიკოლაი გედა: მე ხმა მივიღე ღვთისაგან...

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 ივნისს

უკრაინის ელჩის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბარება უშველის სააკაშვილის მოთოკვას?!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით, საქართველოში უკრაინის ელჩს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარებენ. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა.

მისი თქმით, ის რასაც სააკაშვილი აცხადებს, არის სწორედ საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევა.

„ბუნებრივია, ის განცხადება, რომელიც გუშინწინ მოვისმინეთ, არის პირდაპირი ჩარევა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში და პირდაპირ საარჩევნო პროცესში უკრაინის მოქალაქისა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ მაღალ თანამამდებობაზეა. მე მაინტერესებს ჩვენი უკრაინელი კოლეგებისგან და ამის შესახებ გვექნება საუბარი. რა თქმა უნდა, დავიბარებთ ელჩს საგარეო საქმეთა სამინისტროში და მოვთხოვთ განმარტებებს, რადგანაც ეს არის აშკარა, პირდაპირი ჩარევა უცხო ქვეყნის მაღალჩინოსის სხვა ქვეყნის და არა უბრალოდ სხვა ქვეყნის, არამედ სტრატეგიული პარტნიორის საშინაო საქმეებში და საარჩევნო პროცესში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოვისმენთ საქართველოში უკრაინის ელჩის განმარტებებს“, — განაცხადა ზალკალიანმა. შეგახსენებთ, მიხეილ სააკაშვილმა გაავრცელა ვიდეომიმართვა, სადაც განაცხადა, რომ არ აპირებს მშვიდად უყუროს საქართველოს განადგურებას და იქნება ბრძოლის წინა ხაზზე.

სააკაშვილი ოპოზიციის წინა ხაზზე ვერ იქნება!

„ევროპული საქართველოსა“ და ოპოზიციური პარტიების უდიდესი ნაწილის წინა ხაზზე სააკაშვილი ვერ იქნება. ასე ეხმაურება ოპოზიციონერი გიგა ბოკერია ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ 2020 წლის არჩევნებში ის წინა ხაზზე იბრძოლებს.

ბოკერიას თქმითვე, სააკაშვილი „ევროპული საქართველოს“ საქმეებში ვერ ჩაერევა, ძალიანაც რომ მოინდომოს. ბოკერია ასევე აცხადებს, რომ ვერც სააკაშვილის ფაქტორი და ვერც ვერავინ დააზიანებს ოპოზიციურ პარტიებში მიმდინარე პროცესებს, თუ „მნიშვნელოვანი ოპოზიციური ძალა არ გადაწყვეტს, რომ დააზიანოს“.

„ვინც ამას გადაწყვეტს, ის გადაიხდის ძალიან დიდ ფასს საზოგადოების თვალში. იმიტომ, რომ ყველას ესმის, რომ ივანიშვილის მშვიდობიანი დამარცხება არის ქვეყნის ეროვნული ამოცანა. მე იმედი მაქვს, ეს არ მოხდება“, — განაცხადა ბოკერიამ.

მიხეილ სააკაშვილის ბრძოლის წინა ხაზზე ყოფნის შედეგი ის არის, რომ საქართველოს 20 პროცენტი ოკუპირებულია!

მიხეილ სააკაშვილი უკვე დიდი ხანია, ბრძოლის წინა ხაზზეა, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით. ვოლსკის თქმით, მიხეილ სააკაშვილმა საქართველო იქამდე მიიყვანა, რომ ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია.

„მან 2004 წლიდან კარგი დასაწყისით საქართველო იქამდე მიიყვანა, რომ 20 პროცენტი ოკუპირებულია, უამრავი სტრატეგიული ობიექტი რუსეთზეა გადაცემული, უამრავი ადამიანი, მათ შორის სამოქალაქო პირია დახოცილი, ბევრი სამხედრო ბრძოლის ველზე დატოვა და აგრესორს შეატოვა. ეს არის მიშა სააკაშვილის წინა ხაზზე ყოფნის კონკრეტული შედეგები“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ზელენსკი მიშას მრჩევლობას სთავაზობდა

უკრაინის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილს რეფორმების სფეროში მრჩევლობას სთავაზობდა, რაზეც მისგან უარი მიიღო, — ამის შესახებ ვოლოდიმერ ზელენსკიმ „უკრაინსკაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„მე შევხვდი მიხეილ სააკაშვილს და მან მითხრა, რომ დახმარება სურდა. ჩვენ რამდენიმე შეხვედრა გავმართეთ. ის მოდიოდა სხვადასხვა ადეკვატური რჩევით. შემდეგ მკითხა, თუ სად ვხედავდი მას. მე შევთავაზე, თვითონ მოეფიქრებინა თავისი სტატუსი. შევთავაზე რეფორმების სფეროში მრჩევლობა, მან კი მითხრა, რომ ეს მისი დონე არ იყო. მას რეფორმების მიმართულებით ვიცეპრემიერობა სურდა, რაზეც დავთანხმდი და ვუთხარი, რომ ამის შესახებ პრემიერ-მინისტრს დაველაპარაკებდი. ამ პოსტზე სააკაშვილი იმის გამო ვერ დაინიშნა, რომ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, მათ შორის, მმართველ ფრაქციაშიც“, — აღნიშნა ზელენსკიმ.

თუ ოპოზიციისა და მისი ლობისტებისთვის ვინმე ჟორიკა არის სტაბილიზატორი...

უცნაურია, რომ ეს კვლევა თქვენ რომ ნახეთ, სააკაშვილს უკვე ნანახი და Facebook-ზედადებული ჰქონდა. უკრაინელი პოლიტიკოსია ასეთი, აღმასკომის თავმჯდომარეა რეფორმების დარგში, — ასე უპასუხა იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტის შეკითხვას აშშ-ის რესპუბლიკელთა კვლევითი კომიტეტის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე. თეა წულუკიანის თქმით, ოპოზიცია ამერიკელი ლობისტების დახმარებით ცდილობს, 2012 წლის რიტორიკას დაუბრუნდეს და „ქართული ოცნება“ პუტინთან თანამშრომლობაში დაადანაშაულოს.

ჩვენ დიდი ხანია ჩართული ვართ პოლიტიკურ პროცესში. ვგულისხმობ 2010-2011 წლებს და მაქვს დეჟავუ. ჩვენ გვახსოვს 2012 წელს მსგავსი „კვლევები“, სადაც ეწერა, რომ „ქართული ოცნება“ არის პუტინის აგენტი. ამ კვლევაში ძალიან მნიშვნელოვანია სხვა „მიგნებები“. წერია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში სამხედრო თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის არის უმაღლეს ნიშნულზე. შესაბამისად, ეს შეუსაბამობები იწვევს ირონიას. ჩემთვის დასკვნა არის მარტივი. „ნაციონალური მოძრაობა“ სააკაშვილები, რომელი ქვეყნის პოლიტიკოსებადაც არ უნდა მოგვევლინონ, ქვეყნის შიგნით რესურსი მათ პრაქტიკულად ამოწურეს. ისინი არიან განწირული მარცხისთვის. ამიტომ, ვიღაც ლობისტების მეშვეობით ცდილობენ, დაუბრუნდნენ 2012 წლის ივლისის რიტორიკას, რომ „ქართული ოცნება“, ჩვენი ლიდერი, ჩვენ ყველა ვართ პუტინის აგენტები. ეს ყველაფერი არის ძალიან სასაცილო და არასერიოზული. ბიძინა ივანიშვილი არის ფიგურა ქართულ პოლიტიკურ სცენაზე და რეალობაში, რომელიც არის ჯერჯერობით, ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის გარანტი. შესაბამისად თუ ოპოზიციისთვის და მისი ლობისტებისთვის ვინმე ჟორიკა არის სტაბლიზატორი, მე მომეცით უფლება, ეს არ გავიზიარო“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუნკრების საფლავების მიწა ნაცებმა 1 ლარად გაყიდეთ!

იუნკრების საფლავების მიწა თქვენ 1 ლარად გაყიდეთ — ასე უპასუხა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტიტე არაშიძემ „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ვახო ხუზმიაშვილის საავტორო გადაცემა „თავისუფალ სივრცეში“.

„მაყვალა ყანჩაველი, პეტრე ეზუგბაია და ილარიონ ბაღოშვილი — რაიმეს გეუბნებათ ეგ სახელები? რა თქმა უნდა, არ გეცოდინებათ. მე ჩემი ბავშვების ისტორიას ამ გმირების, იუნკრების ისტორიაზე ვაგებ და ამ ისტორიას ვასწავლი. სამწუხაროდ, თქვენ არ იცით ეს ისტორია. თქვენი ხელისუფლების დროს იუნკრების ადგილი ბრძანებით 1 ლარად არის გაყიდული“, — უპასუხა მინისტრმა ოპონენტებს.

კახა კუჭავა: 13 კონგრესმენის ჩანაწერი კონტექსტიდან მთლიანად ამოგლეჯილია

პარლამენტის ვიცე-სპიკერის კახა კუჭავას განცხადებით, 13 კონგრესმენის მიერ მომზადებულ დოკუმენტში ბიძინა ივანიშვილის თაობაზე გაკეთებული ჩანაწერი მთლიანად ამოგლეჯილია კონტექსტიდან. როგორც ჟურნალისტებს კუჭავამ განუცხადა, „რესპუბლიკელების“ შიდაპარტიული დოკუმენტი საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ეთმობა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით.

დეპუტატის თქმით, დოკუმენტი ხაზს უსვამს იმ სტრატეგიულ ურთიერთობებს, რომელიც უპრეცედენტოდ მაღალ დონეზეა საქართველოსთან და პირიქით, მოწოდებაა, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობები მაქსიმალურად გაძლიერდეს და კიდევ უფრო გამყარდეს.

„ამ დოკუმენტის მთელი პათოსის ფონზე ის ერთი წინადადება, რომელმაც ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, მთლიანად ამოგლეჯილია კონტექსტიდან. ის სამუშაო პირდაპირ ჩანს, რომელიც ლობისტებმა გასწიეს, რომ ეს ერთი წინადადება როგორმე მოხვედრილიყო დოკუმენტში. თუ წინასაარჩევნო პერიოდს გავითვალისწინებთ, დარწმუნებული ვარ, სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის შიდა კვლევები, რომელსაც ჩვენი ოპონენტები ატარებენ და ის დაბალი რეიტინგი, რომელიც მათ აქვთ თავისივე კვლევებში, ცალსახად მიუთითებს, თუ რამდენად გააქტიურეს ყველა არხი, რომ ბოლომდე შეძლონ დისკრედიტაცია მთავარი მიღწევების, რომელიც ქვეყანას აქვს. პირველ რიგში, ეს არის ზუსტად ის, რაზეც არის ხაზგასმა — სტაბილურობა, რომელიც ამ მთავრობის ხელში ქვეყანამ წარმოაჩინა, თუ როგორც მთავარი პრიორიტეტი. ისეთი სტრატეგიული პარტნიორი, როგორიც ამერიკაა, ამ კუთხით ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად აგრძელებს ჩვენთან ერთად თანამშრომლობას“...

„ნაციონალების“ დაფინანსებული დაბალი რანგის დოკუმენტი!

კონგრესმენების მიერ ხელმოწერილი ანგარიში „დაბალი რანგის“ დოკუმენტია, ხოლო ხელმომწერი 13 კონგრესმენი „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტები. ასე აფასებს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის კონგრესმენების უმწვავეს ანგარიშს.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მსგავსი დოკუმენტები იმ ფულის „დამსახურებაა“, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ იხდის. მისივე განმარტებით, ეს დოკუმენტი ვერანაირ ხინჯს ვერ შეიტანს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში.

ზაალ ანჯაფარიძე: თუ ივანიშვილი პუტინის მიერ მოვლენილია, რატომ აგზავნის ყველაზე მეტ ჯარისკაცს ავღანეთში? რატომ ატარებს მის ტერიტორიაზე NATO-ს წვრთნებს?

ექსპერტი **ზაალ ანჯაფარიძე** სოციალურ ქსელში აშშ-ის რესპუბლიკელთა კვლევითი კომიტეტის ანგარიშს გამოეხმაურა. მისი თქმით, თუ ივანიშვილი პუტინის მიერ მოვლენილი და მისი ახლო მოკავშირეა, როგორც ანგარიშის ავტორები წერენ, მაშინ რატომ არის დღეს საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების წევრი და არა ევრაზიული კავშირის?

„აშშ-ის კონგრესში მორიგი ანგარიში გამოქვეყნდა „ამერიკის გაძლიერება და გლობალურ საფრთხეებთან გამკლავება“, რომლის მიხედვითაც, თურმე, ბიძინა ივანიშვილი ყოფილა ჩართული საქართველოს დესტაბილიზაციაში რუსეთის სახელით.

თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ საქართველო აშშ-ის დემოკრატიული მოკავშირეა, რომ ერთ სულ მოსახლეობაზე გადაანგარიშებით საქართველომ ავღანეთში ყველაზე მეტი დანაკარგი განიცადა, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანამ. იქვე აღმატებულ ტონში საუბარია სამხედრო თანამშრომლობაზე NATO-სთან პარტნიორობაზე და ა.შ. ისე, თუ ივანიშვილი პუტინის მიერ მოვლენილი და მისი ახლო მოკავშირეა, როგორც ანგარიშის ავტორები წერენ, მაშინ რატომ არის დღეს საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების წევრი და არა ევრაზიული კავშირის? რატომ აგზავნის ყველაზე მეტ ჯარისკაცს ავღანეთში? რატომ ატარებს მის ტერიტორიაზე NATO-ს წვრთნებს? და ა.შ. და ა.შ.

და კიდევ, გახსოვთ, ალბათ, „ქ/ოცნებიდან“ გაქცეულ- გაგდებული საგარეო პოლიტიკური გუნდი რომ ტრაბახობდა, კონგრესს საქართველოს მხარდამჭერი აქტი მივაღებინეთო. ანგარიშიდან ირკვევა, რომ ეს აქტი სენატამდე არც მისულა. ხოლო სენატის მხარდაჭერის გარეშე ის, უბრალოდ, ვერ ამოქმედდება. ეს ისე, ცნობისათვის! ამ წერილებზე და ანგარიშებზე რუსთველის აფორიზმი მახსენდება: ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად!“ — წერს ზაალ ანჯაფარიძე.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი წელს პირველ 1000 სტუდენტს მიიღებს!

„უკვე ასეულობით აბიტურიენტმა აირჩია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კოდი – 197, გამოხატა სურვილი და პირველი არჩევანი სწორედ ჩვენს უნივერსიტეტზე შეაჩერა. KIU უკვე მზადაა წელს 1000 სტუდენტის მისაღებად.“ – ამის შესახებ „კომერსანტს“ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე თევზაძემ ინტერვიუში განუცხადა.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომლის მშენებლობაში „ქართუ ფონდის“ მიერ მილიარდი ევრო გამოიყო, წელს სტუდენტების პირველ ნაკადს მიიღებს. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის პირველი ეტაპი მზად არის, შესაბამისად მოახლოებული ერთიანი ეროვნული გამოცდებით გამოვლიდნება მათემატიკის, მენეჯმენტის და კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა. როგორც უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე თევზაძე განმარტავს, 2022 წლიდან KIU ახალი პროგრამების დამატებას გეგმავს საინჟინრო მიმართულებებით, ხოლო 2023 წლიდან უნივერსიტეტს დაემატება მედიცინა და ჰუმანიტარული სპეციალობები.

„მიმდინარე წლის სექტემბერში ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) სტუდენტების პირველ ნაკადს მიიღებს მათემატიკის, მენეჯმენტის და კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამებზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოხდება. პროგრამები განხორციელდება ინგლისურ ენაზე და მას გაუძღვებიან ქართველი და უცხოელი პროფესორები და ლექტორები. სტუდენტებისა დაპროგრამების რაოდენობა ყოველწლიურად ეტაპობრივად გაიზრდება.

2021 წლიდან უნივერსიტეტს დაემატება საგანმანათლებლო პროგრამები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, მათ შორის ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. ეტაპობრივად მოხდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შეთავაზება. აქცენტი გაკეთდება ინტერდისციპლინურ განათლებაზე და პროგრამებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა დასაქმების ფართო შესაძლებლობებს,“ – აცხადებს ალექსანდრე თევზაძე.

საქართველოს მოქალაქეებისათვის სწავლის გადასახადი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში შეადგენს წელიწადში 2250 ლარს. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური გრანტების ფონდი, რომლის მიზანია, სწავლებასთან ერთად სტუდენტური საცხოვრებლის ანაზღაურება.

„ფონდის მიზანია, უზრუნველყოს სტუდენტისთვის საუნივერსიტეტო სტიპენდია, KIU ბარათი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კვების დაფინანსება კამპუსის ტერიტორიაზე. სტუდენტური გრანტების ფონდში მოქმედებს სოციალური გრანტების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდებიან სტუდენტები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, შშმ პირები, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენლები. უნივერსიტეტში იმოქმედებს აკადემიური მიღწევების პროგრამაც. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოცულობით დაფინანსდებიან წარმატებული სტუდენტები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით მოხვდებიან საუკეთესო 100, 200 და 300 სტუდენტის სიაში,ზოგადი განათლების ოქროს და ვერცხლის მედალოსნები, მათემატიკის, პროგრამირებისა და საბუნებისმეტყველო საგნებში ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებული, მათემატიკური კონკურსის „M ვექტორი“ და ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებულები სტუდენტები.

საუნივერსიტეტო დაფინანსება ბაკალავრიატის საფეხურზე განსაზღვრულია სწავლის ოთხი წლის განმავლობაში, რომლის შესანარჩუნებლადაც სტუდენტებმა უნდა აჩვენონ მაღალი აკადემიური მოსწრება და წელიწადში მოაგროვონ, მინიმუმ, 55 სასწავლო კრედიტი.იმედი გვაქვს, საუნივერსიტეტო დაფინანსება ჩვენს სტუდენტებს შეუქმნის იდეალურ პირობებს, რათა მიიღონ უმაღლესი განათლება მათთვის საინტერესო პროგრამის ფარგლებში და მიაღწიონ წარმატებას კარიერაში ან აკადემიურ საქმიანობაში,“ – განმარტავს უნივერსიტეტის რექტორი.

საუნივერსიტეტო ქალაქი ქუთაისთან ახლოს, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მდებარეობს. კამპუსი 150 ჰექტარ მიწის ნაკვეთზეა გაშენებული. კომპლექსი მოიცავს აკადემიურ კორპუსებს, სტუდენტურ საცხოვრებლებს, ბიბლიოთეკებს, კაფეტერიებს, სასპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურას, საერთო სამუშაო სივრცეებს, საცხოვრებლებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. როგორც ალექსანდრე თევზაძე განმარტავს, საუნივერსიტეტო ქალაქის განვითარება და მშენებლობა ეტაპობრივად, ახალი კამპუსებისა და პროგრამების დამატების პარარელურად გაგრძელდება.

„ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის განვითარებისთვის საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ მიერ ერთი მილიარდი ევროა გამოყოფილი და იგი სრულად ხმარდება უნიკალური საგანმანათლებლო ჰაბის მშენებლობას საქართველოში, რომლის ანალოგიც რეგიონში არ არსებობს. მიმდინარე წლის შემოდგომაზე სტუდენტებს დახვდებათ თანამედროვე სტანდარტების სრულად მოწყობილი სტუდენტური საცხოვრებლები.

ეს იქნება კომფორტული ოთახები ავტონომიური გათბობისა და გაგრილების სისტემებით, სრულად აღჭურვილი სამზარეულო კუთხით, სველი წერტილებით, თანამედროვე ავეჯით და უწყვეტი ინტერნეტკავშირით.სტუდენტები შეძლებენ, აირჩიონ როგორც ინდივიდუალური, ასევე ორადგილიანი სტუდენტური სტუდიოები,“ – აღნიშნა ალექსანდრე თევზაძემ.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორია მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი (TUM). KIU-ს საპატიო პრეზიდენტია TUM-ის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანი. საუნივერსიტეტო კამპუსის ტერიტორიაზე დაგეგმილია TUM International-ის ოფისის გახსნა.

2019 წელს მაგთიკომში კომუნიკაციების დარგში ყველაზე მსხვილი ინვესტორია

მხოლოდ 2019 წელს განხორციელებულმა ინვესტიციის ოდენობამ 115 მილიონი ლარი შეადგინა.



იხილეთ კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის ანგარიში, კომისიის ოფიციალური ვებგვერდი https://www.comcom.ge/uploads/other/5/5671.pdf (გვერდი 84).

MAGTI

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ

ᲒᲝᲥᲡᲔᲚ ᲒᲔᲜᲩᲘ - ᲗᲣᲠᲥᲘ „ᲝᲡᲢᲐᲞ ᲑᲔᲜᲓᲔᲠᲘ“?(2)



АКТ
выполненных работ
по строительству дороги между г. Сургут и г. Нижневартовск

г. Сургут 27 июля 2006 г.

По договору № 981 от «13» февраля 2004 г.

Мы, нижеподписавшиеся: представитель Подрядчика – Общества с ограниченной ответственностью Генчстрой, ОГРН (1057746574269), находящегося по адресу: 129010, г.Москва, ул.Каланчевская, д.45, с одной стороны, и представитель Заказчика – ЗАО Компания "СтройФинансГрупп" при Министерстве транспорта Российской Федерации, № СДВ.РЕТ.СМК 3579.04-700096, 628422, ХМАО, Тюменская обл., г. Сургут, ул. Г. Кукуевицкого, д. 13/1, ИНН 8602009580, с другой стороны, составили настоящий акт о том, что Подрядчик выполнил следующие виды работ:

Строительство государственной дороги с асфальтовым покрытием между г. Сургут и г. Нижневартовск: 0+000 - 62 + 656 км, земляные работы, надстройки и работы по устройству мостов.

Указанные работы выполнены в соответствии с договором от «13» февраля 2004 г. № 981.

Следует к оплате: 6.900.000.000,00 руб. (Шесть миллиардов девятьсот миллионов руб. 00 коп.)
Кроме того, НДС 18% в сумме 1.242.000.000,00 руб. (Один миллиард двести сорок два миллиона руб. 00 коп.)
Всего к оплате с учетом НДС 8.142.000.000,00 руб. (Восемь миллиардов сто сорок два миллиона руб. 00 коп.)

Подрядчик:
Общество с ограниченной ответственностью Генчстрой
М.ЛУТИН
(подпись)
27 июля 2006 г.

Заказчик:
"СтройФинансГрупп" Министерства транспорта Российской Федерации
Е.Э. БОРИСОВА
(подпись)
27 июля 2006 г.

მკითხველს გამოვუტყდები, რომ წინა წლებში გოქსელ გენჩის პიროვნების მასშტაბი ვერ შევაფასე სათანადოდ. თურქეთის, ერაყისა და საქართველოს „აღმშენებელმა“ დიდ რუსეთზეც მიიტანა იერიში და 2005 წლის 5 აპრილს თავისი კანტორის – „რქები და ჩლიქების“ ფილიალი აღრიცხა რუსეთში „Генчстрой“-ის სახელწოდებით. პროკურორ სალომე ჩიქობავასგან განსხვავებით, მე დავინტერესდი „გენჩსტროის“ მოღვაწეობითაც.

პირველ წერილში ხსენებული სისხლის სამართლის საქმის მასალებში ერთ ძალზე საყურადღებო საბუთს წავაწყდი, სათაურით: „Акт выполненных работ по строительству дороги между г. Сургут и г. Нижневартовск“, რომელიც დათარიღებულია 2006 წლის 27 ივლისით. წავიკითხე და გავოგნდი! ჩვენი მუნიციპალური განვითარების ფონდის კომისია რომ გაეცნო ამ საბუთს (გაცნობა კი თავისი ბეჭდის დარტყმით დაადასტურა), როგორღა გააძევა ტენდერიდან ფირმა „გენჩ ინშაათი“? არადა, ამ აქტის მიხედვით, „გენჩსტროიმ“ გზის მშენებლობაზე, რომლის სიგრძეა 222 კილომეტრი, ჩატარებული სამუშაოებისთვის მიიღო ანაზღაურება 6.900.000.000 რუბლის (ექვსი მილიარდ ცხრაასი მილიონი) ოდენობით! შეგახსენებთ, იმდროინდელი სავალუტო კურსის მიხედვით, ერთ დოლარში იძლეოდნენ 30 რუბლს. გამოდის, ბატონ გოქსელის ფირმამ 230 მილიონი დოლარის სამუშაოები ჩაატარა!... ა, ბატონო, მასშტაბი! მიჩნდება კითხვა მგფ-ის იმდროინდელ, ნიშანდობლივ, 2016 წლის ხელმძღვანელობასთან: ბატონებო, როგორ გააძევეთ ასეთი სოლიდური ფირმა ტენდერიდან, რომელმაც ციმბირში, მძიმე კლიმატურ პირობებში, დაჭაობებულ ნიადაგზე 222 კილომეტრი ასფალტირებული გზა გადაჭიმა სურგუტიდან ნიჟნევარტოვსკამდე, მით უმეტეს, ბატონი გოქსელ გენჩის „გენჩ ინშაათი“ ხომ ყველაზე კარგი პირობებით შემოვიდა ტენდერში? საითკენ იყო მიპყრობილი თქვენი მზერა? რაღაც „საცოდავი“ 20 კილომეტრი თბილისიდან რუსთავამდე ვერ ანდეთ კაცს და მის პატივცემულ „რქებს და ჩლიქებს“, ბოდიში, „გენჩ ინშაათს“? არარსებული ერაყული უზრუნველმყოფელი ბანკის გამო? მაშ, ვის მოაგებინეთ ტენდერი? გაოგნებული ვუყურებდი ამ საბუთს და ის იყო, ბატონი გენჩისთვის ბოდიშის მოხდა გავიფიქრე, რომ გამახსენდა, 21-ე საუკუნის მოქალაქე ვარ და არსებობს ინტერნეტი, სადაც არა მხოლოდ „გენჩსტროიზე“ მიიღებ ინფორმაციას, არამედ იმაზეც, ეშმაკის კუდზე რა გვარის და სახელის ბაღლინჯო დაცოცავს.

გუგლში ავკრიფე „გენჩსტროი“ და მან ამომიყარა იმდენად საყურადღებო ინფორმაციები, რომ ვმადლობდით ღმერთს „გუგლის“ დაარსებისთვის, წინაღმდეგ შემთხვევაში ბოდიშის მოხდა მომიწევდა თურქი „ოსტაპ ბენდერისთვის“, თანაც საჯაროდ, თვითგვემის მოშველიებით. ფირმა „გენჩსტროი“ რუსეთში დაარსდა 2005 წლის 5 აპრილს, ხოლო გაუქმდა 2015 წლის 23 ნოემბერს . აქაც, პროკურორ ჩიქობავასგან განსხვავებით, არ დავიზარე, დავინტერესდი, რით ვერ მოაწონა თავი ბატონი გოქსელის ფირმამ რუსეთის ფედერაციის კანონის იმ მუხლს, რომლის საფუძველზეც გაუქმდა. აქაც გაოცება გაჯერებული დაბნეულობით. ფირმა ან არ აწარმოებდა არავითარ ოპერაციებს თავისი ანგარისწორების, თუნდაც ერთი ანგარიშით, ან არ ჰქონდა.

ფინანსური შესაძლებლობა რომ ჩაეტარებინა, საკუთარი გაუქმების პროცედურაც კი; ან, კიდევ, ფირმის გასაუქმებლად არ გააჩნდა სათანადო თანხა არა მხოლოდ თვით იურიდიულ პირს, არამედ მის დამფუძნებელსაც. რა გამოდის? არავითარი ოპერაციები ამ ფირმას არ ჩაუტარებია? მაშ, საიდან 6 მილიარდ 900 მილიონის ღირებული სამუშაოები, მაშინდელი 230 მილიონი დოლარისა, როცა დოლარი დოლარობდა? რას ნიშნავს ეს? ამ შემთხვევაში საღი აზრი მიგვითითებს, რომ ეს საბუთი, რომელზეც მუნიციპალური განვითარების ფონდმა თავისი დასტურის ბეჭედი დაარტყა, არის სიყალბე. უფრო გასაგებად, ეს ყალბი საბუთი იყო ჩადებული არა მხოლოდ გოქსელ გენჩის მიერ მგფ-ში წარდგენილ დოკუმენტაციაში, არამედ სასამართლოსა და სისხლის სამართლის საქმეში. ბატონებო, ეს ხომ დანაშაულია! საითკენ იყურებოდა პროკურორი სალომე ჩიქობავა, ან მგფ-ის პატივცემული ხელმძღვანელობა, რითი იყო დაკავებული, სიყალბე რომ ვერ შეამჩნია? ბოლოს და ბოლოს, მოსამართლეს რაღა დაემართა? სისხლის სამართლის საქმის მოსამართლე, რომელშიც გოქსელ გენჩი მთავარ დაზარალებულად მოგვევლინა, იყო მაია ქოქიაშვილი. ჩემი ვარაუდით, ქალბატონი მაია მოჯადოებული იყო პროკურორ სალომე ჩიქობავას ფრაზით – **„ᲒᲔᲜᲩ ᲘᲜᲨᲐᲐᲗᲛᲐ“ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲐᲐᲨᲕᲔᲜᲐᲝ** და ამის გამო სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის დადგენამდე, არ ჩათვალა ღირსად, გადაემოწმებინა პროკურატურის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც მისი მხრიდან, მინიმუმ, დაბალი კვალიფიკაციის მაჩვენებელია, ხოლო, მაქსიმუმ, კანონის უგულებელყოფა...

მკითხველს ვაცნობებ, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გავუგზავნე სამი კითხვა, რომლებსაც ვთავაზობ მკითხველს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ : 2016 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲒᲔᲜᲩ ᲘᲜᲨᲐᲐᲗᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲔᲗ.Წ. ᲔᲠᲐᲧᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ „ᲩᲔᲫᲘᲜ ᲜᲣ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲒᲤ-ᲨᲘ ?

ᲛᲔᲝᲠᲔ: ᲛᲒᲤ-ᲛᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲐᲛᲝᲬᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲨᲘ, ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲓᲐ ᲠᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ?

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ: ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲗᲣ „ᲒᲔᲜᲩ ᲘᲜᲨᲐᲐᲗᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲐ, ᲓᲐᲘᲠᲦᲕᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲗ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲒᲘᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ?

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲐᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲦᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲓᲐᲡᲛᲣᲚ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲪᲜᲝᲑ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲠᲫᲐᲫᲔ

ᲡᲝᲩᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს, კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს მარტო გაუმკლავდეს.

„გვმართებს ურთიერთთანადგომა, მოგეხსენებათ, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში საკმაოდ დაიძაბა ბოლო პერიოდში მდგომარეობა. მე პირადად ყოველდღიურ პირად კავშირზე ვარ სომხეთის პრემიერთან, ისევე როგორც კოლეგები, ჯანდაცვის, ეკონომიკის მინისტრები, ყველა, საგარეო საქმეთა მინისტრი და უკვე ჩვენ მოვახდინეთ იმის იდენტიფიცირება, თუ რა სახის დახმარება სჭირდებათ ჩვენს მეზობლებს. აქ ურთიერთთანადგომა არის უკიდურესად მნიშვნელოვანი. ჯანდაცვის სამინისტროს უკვე აქვს მიღებული დავალება, რომ მოამზადოს ის დახმარება, რომელიც საქართველოს შეუძლია გაუწიოს მეზობელ სომხეთს. როგორც ჩანს, ეს პირველ რიგში იქნება სამედიცინო პერსონალით დახმარება, ასეთი თხოვნა გამოიკვეთა ჩვენი მეზობლების მხრიდან“, – განაცხადა გახარიამ.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲘᲛᲜᲐᲫᲔ: SOS! ᲗᲣ ᲬᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲐᲕᲗ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲐᲚᲦᲐᲡ ᲛᲝᲕᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲗ!

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲘᲛᲜᲐᲫᲔᲘᲡ თქმით, თუ მოსახლეობა წესებს არ დაიცავს, კორონავირუსის მეორე ტალღის გავრცელებას დააჩქარებს. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, მეორე ტალღა მოჰყვა როგორც 1918, ასევე 2009 წლის პანდემიას.

„ორივე ამ პანდემიას ჰქონდა მეორე ტალღა, რომელიც მეორე ზამთრის სეზონზე იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი. 18 წელს უფრო ძლიერიც კი, ვიდრე პირველი ტალღა. ყველაფერის ალბათობა არსებობს, მაგრამ, დიდი ალბათობით, ასე უნდა იყოს. და თუ წესებს არ დავიცავთ, ამ მეორე ტალღას მოვაახლოებთ, ასე ვთქვათ“, – განაცხადა იმნაძემ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ!

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

კალაძის განმრატებით, სამუშაოები პანდემიის გამო შეფერხდა და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მერიამ მოქალაქეებს საპროტესტო სივრცე წაართვა, სიმართლეს არ შეესაბამება.



„არ მგონია, ახლა მაგას სერიოზული პასუხი სჭირდებოდეს. თქვენ როგორ ფიქრობთ, რომ ვინმე ადამიანებს უზღუდავს თავისი პროტესტის გამოხატვას? ეგ ხომ შეუძლებელია. ჩვენ ეგ წლები ყველამ ერთად წარსულს ჩავაბარეთ.

უამრავი სივრცეა, სადაც ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი პროტესტი გამოხატონ და მათ ამაში ვერავინ ვერ შეუშლის ხელს“, – უთხრა კახა კალაძემ ჟურნალისტებს. ცნობისთვის, ოპოზიციის წარმომადგენლები და აქტივისტები აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია იმიტომ დაიწყო, რომ საზოგადოებისთვის საპროტესტო სივრცე შეეზღუდა, ვინაიდან მთავრობას აქციების ეშინია.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲘᲥᲛᲥᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ!..



ᲩᲕᲔᲜ **უნდა გავუფრთხილდეთ იმ მონაპოვარს, რასაც ეკონომიკის ეტაპობრივი გახსნა ჰქვია,** – ამის შესახებ მთავრობის სხდომის შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

„ეკონომიკა იხსნება, ბიზნესი იქოქება, მაგრამ უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე. დღეს გავრცელდა ინფორმაცია ინფიცირების ახალი წყაროების შესახებ. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ იმ მონაპოვარს, რასაც ეკონომიკის ეტაპობრივი გახსნა ჰქვია. იცით, რომ 15 ივნისიდან იხსნება შიდა ტურიზმი, 1 ივლისიდან კი – საერთაშორისო. ვემზადებით, რომ სრული მასშტაბით ამოქმედდეს ყველა საწარმო და მინდა, მათაც და მოსახლეობასაც სიფრთხილისკენ მოვუწოდო. დღეს ჩვენ გვაქვს მართვადი ეპიდვითარება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს ჩვენივე დაუდევრობით, მოსახლეობის რელაქსირებული მიდგომით გართულდეს“, – განაცხადა თურნავამ.

ქართული იარაღი პირველად ნატოს შეიარაღებაში

როგორ აისახება ქვეყნის თავდაცვაზე ბიუჯეტის მოსალოდნელი შემცირება?

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელიც ძალოვან უწყებებში საბიუჯეტო ხარჯების ყველაზე მსხვილი მომხმარებელია, კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო 2020 წელს ვერ მიიღებს 75 მილიონ ლარს, რაც სამხედრო უწყების წლიური ბიუჯეტის, დაახლოებით, 9-10 პროცენტია.

ამის შესახებ 10 ივნისს განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ.

2020 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტით, უფრო ცოტა, 10 მილიონი ლარი მოაკლდება შინაგან საქმეთა სამინისტროს და სულ მთლად უმნიშვნელო თანხა, ერთი მილიონი ლარი, — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

როგორ აისახება ქვეყნის თავდაცვასა და სამხედრო უწყების ამბიციურ გეგმებზე ბიუჯეტის მოსალოდნელი შემცირება? რამდენად თანაბრად და სამართლიანად მცირდება ძალოვანი უწყებების ხარჯები? ხომ არ აღმოჩნდება მოსალოდნელი საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად „გერის მდგომარეობაში“ საქართველოს ჯარი, რომელსაც, ქვეყნის თავდაცვის ამოცანების გარდა, საკმაოდ რთული საერთაშორისო სამშვიდობო მისიაც აკისრია?

ამ და სხვა საკითხებზე ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს ირაკლი ალადაშვილი, სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ რედაქტორი.

კობა ლიკლიკაძე: ირაკლი, პირველი შეკითხვა , რომელიც ამ ციფრების ნახვის შემდეგ საქმეში ჩაუხედავ ადამიანს გაუჩნდება, არის ის, რომ 75 მილიონი ლარით მცირდება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი - 10 მილიონით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის - მხოლოდ 1 მილიონით. და ეს ეჭვის ჭია უბიდან რომ გამოვუშვათ, ასეთი შეკითხვა იქნება: გერის როლში ხომ არ არის თავდაცვის სამინისტრო?

ირაკლი ალადაშვილი: „რა თქმა უნდა, არ არის ეს კარგი ინფორმაცია, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტი მცირდება, მაგრამ გასაგებია, პანდემიაა მსოფლიო დონეზე და აქ ყველგან პრობლემებია. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2020 წელს გაიზარდა 880 მილიონ ლარამდე. შარშან ნოემბერში იყო დიდი სჯა-ბაასი, როცა ის გაიზარდა და, დაახლოებით, 35 მილიონი დაემატა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში 770 მილიონ ლარზე იყო საუბარი. ახლა თავდაცვას თუ 75 მილიონი ლარი მოაკლდება, გამოვა, რომ 800 მილიონზე ჩამოვა ეს ბიუჯეტი. თუმცა, ჩემი აზრით, წელს კიდევ მოხდება რაღაც კორექტირება: შეიძლება მოიმატოს, არც ესაა გამორიცხული, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ, პირიქით, კიდევ დაიკლოს.

როცა სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვის სამინისტროს ხარჯების მოსალოდნელ შემცირებაზე ლაპარაკობდა, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განმარტა, რომ 75 მილიონი ლარიდან 30 მილიონი არის თანხა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების რეალიზებაზე უნდა დახარჯულიყო.

კერძოდ, საუბარია საფრანგეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო საფრანგეთისგან ღებულობს გარკვეულ სამხედრო პროდუქციას. „შესაბამისად, პანდემიის გათვალისწინებით, წარმოიქმნა მოწოდების და ინსტალაციის პრობლემა და ამანაც ვადაში გადაიწია, თუმცა პროექტი ჩვეულებრივ გაგრძელდება და, ცხადია, ამ პროექტით ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა გაძლიერდება“, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

კობა ლიკლიკაძე: ირაკლი, რა კონტრაქტზეა საუბარი და რა ეტაპია შესრულებული?

ირაკლი ალადაშვილი: „ჩვენ გვახსოვს, რომ ეს იყო შარშან, საზოგადოებასაც წარუდგინეს მობილური რადიოლოკაციური სადგური — ერთი, უფრო ძლიერი, GM-400 და GM-200, ანუ სხვადასხვა მოდიფიკაციის ტექნიკა. ასევე, იყო მობილური „მისტრალის“ ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები **(არ უნდა აგვერიოს „მისტრალის ტიპის“ ფრანგულ ვერტმფრენმზიდში. — რედ)**. ეს არ ნიშნავს, რომ ეს ქართულ ცას მთლიანად ჩაკეტავს, მაგრამ ეშელონირებული თავდაცვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. წინასწარ არ აფიშირდებოდა, თუ შემდგომში რას ვაპირებდით, მაგრამ ეს 30 მილიონი (ლარი), ეტყობა, ახალ ეტაპზე იყო გათვლილი“.

საქართველოში, სადაც თავდაცვის მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, ფორმებისა და „ფეხსაცმელების წარმოება იყო და არის გამოწვევა“,სამხედრო უწყება რამდენიმე ამბიციურ პროექტზე მუშაობს:

- **ნატოს სტანდარტების შესაბამისი ყუმბარმტყორცნების, ყუმბარებისა და რაკეტების წარმოება;**
- **ვაზნების ქარხნის მშენებლობა;**
- **250 სამხედრო ობიექტის სრული რეაბილიტაცია, რაზეც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა წლის ბოლომდე 100 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავს.**
- **დაბოლოს, წლეულს 100-დან 120 მილიონამდე დაიხარჯება შეიარაღებაში, ე.წ. „სპეციალურ შესყიდვებში“, რომლის დეტალებზე თავდაცვის მინისტრი ღია საუბარს ჯერჯერობით არ აპირებს.**

კობა ლიკლიკაძე: რამდენად გასწვდება სეკვესტრირებული სამხედრო ბიუჯეტი ყველა ამ ამბიციური პროექტის ბოლომდე განხორციელებას? რა საჭიროა და რამდენად იქნება რენტაბელური საქართველოში ნატოს სტანდარტების საბრძოლო მასალების ან ტყვია-წამლის ქარხნის მშენებლობა, როდესაც იარაღის საერთაშორისო ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია? და რა პერსპექტივა აქვს ქართულ სამხედრო მრეწველობას, საერთოდ?

ირაკლი ალადაშვილი: კარგი შეკითხვაა. საქართველომ უნდა აწარმოოს ისეთი რამ, რაც თავის არმიასაც გამოადგება და, რაც მთავარია, ის უნდა გავიდეს და კონკურენტუნარიანი უნდა იყოს შეიარაღების მსოფლიო ბაზარზე. აი, როცა ვამბობთ, რატომ არ შეგვიძლია ავტომატი გავაკეთოთო. ნუ, გავაკეთოთ ქართული არმიისთვის 30 ათასი, დავამზადოთ 60 ან 100 ათასი, მაგრამ ეს არ იქნება რენტაბელურად მომგებიანი, თუ მას არ გაყიდი.

ამის პრეცედენტი იყო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას“ მიერ გამოშვებული სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა „დიდგორი MedEvac“-ი, რომლის რამდენიმე ერთეული თავის დროზე საუდის არაბეთმა იყიდა.

საუბარი იყო, დაახლოებით, 100 ერთეულზე. მერე იქ მოხდა პრობლემები, როდესაც ააფეთქეს. მერე ვიდეო გავრცელდა და ამან შეარყია, შეაჩერა დროებით. მაგრამ ეს ნიშა მაშინ ვიპოვეთ. წარმოუდგენელი ნიშა იყო, მაგრამ ვიპოვეთ. ამის შემდეგ იგივე „დიდგორის“ ბაზაზე დამზადდა მობილური ნაღმსატყორცნი, რომელიც ძალიან პერსპექტიულია.

ჯავშანმანქანა „დიდგორი“, ახალი 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის მოდელი „დელტამ“ გაიტანა საზღვაო და საჰაერო თავდაცვითი მრეწველობის საერთაშორისო გამოფენაზე IDEX 2019, რომელიც 2019 წლის თებერვალში აბუდაბიში გაიმართა.

საქართველოს სამხედრო უწყებამ მაშინ გაავრცელა ცნობა, რომ ახალი ქართული სამხედრო ტექნიკის მოდელით რამდენიმე ქვეყანა დაინტერესდა. „დიდგორის“ ბაზაზე შექმნილი შეიარაღებით მრავალი ქვეყანაა დაინტერესებული, მაგრამ იარაღის ექსპორტისათვის მნიშვნელოვანია ერთი ნიუანსი: ყველა ქვეყანა უყურებს, სანამ შენს პროდუქტს შეიძენს, თვითონ შენს არმიაში, შეიარაღებაში გაქვს თუ არა იგი. სხვათა შორის, ის უკვე მიიღეს ქართულ ბატალიონებში. გადაგზავნეს ნაწილებში „დიდგორის“ ბაზაზე დამზადებული კავშირგაბმულობის შეჯავშნილი მანქანები, ხოლო „დელტაში“ დამზადებული ნაღმსატყორცნების რამდენიმე ათეული ერთეული გაყიდულია ნატოს ერთ-ერთ ქვეყანაში“.

* * *

ირაკლი ალადაშვილმა არ დააზუსტა, თუ ნატოს რომელ ქვეყანაში გაიყიდა „დელტას“ ბაზაზე დამზადებული შეიარაღება, მაგრამ მიანიშნა, რომ საუბარია ალიანსის ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაზე.

„საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში მე არ მახსენდება შემთხვევა, რომ ნატოს რომელიმე წევრ სახელმწიფოს ქართველი იარაღის მწარმოებლების მიერ შექმნილი იარაღი შეეძინოთ, რაც მრავლისმეტყველია“, — ამბობს ირაკლი ალადაშვილი.

კობა ლიკლიკაძე

დონალდ ტრამპი: სიეტლი შიდა ტერორისტებმა დაიკავეს

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებით, ვაშინგტონის შტატის ქალაქი სიეტლი, სადაც პოლიციის მიერ ძალის გადამეტებისა და რასობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები მიმდინარეობს, შიდა ტერორისტებმა დაიკავეს

„შიდა ტერორისტებმა დაიკავეს სიეტლი, რომელსაც, რა თქმა უნდა, რადიკალი მემარცხენე დემოკრატები მართავენ. ყველამ უნდა დაიცვას კანონი და წესრიგი“, — წერს ტრამპი.

მან ასევე გააკრიტიკა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და აღნიშნა, რომ დემონსტრანტები ვაშინგტონის შტატის გუბერნატორს ჯეი ინსლისა და სიეტლის მერს ჯენი დერკანს დასცინიან.

„დაიბრუნეთ თქვენი ქალაქი. ეს საშიში ანარქისტები დაუყოვნებლივ უნდა შეაჩეროთ“, — წერს აშშ-ის პრეზიდენტი.

რაკეტა საელჩოს სიახლოვეს ჩამოვარდა

ბაღდადში, აშშ-ის საელჩოს სიახლოვეს, ე.წ. მწვანე ზონაში რაკეტა ჩამოვარდა. მსხვერპლისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია გუშინ არ გავრცელებულა.



ადგილობრივი მედიის ცნობით, ჭურვი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიიდან იყო გაშვებული. აღსანიშნავია, რომ ერაყსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული დიალოგის პირველი ეტაპი იწყება.

თენგიზ ცერცვაძე:

2025 წლისთვის საქართველო ერთდროულად დაასრულებს შიდსისა და C ჰეპატიტის ეპიდემიას!

„მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა, რომ შიდსის შესახებ ცნობები ქვეყანაში არ უნდა გავრცელებულიყო, რადგან თურმე „დიად საბჭოთა კავშირში შიდსი არ არსებობდა“, ქვეყნის მთავარმა ინფექციონისტმა, იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ მოახერხა და საბჭოეთს „გამოსტყუა“ ნებართვა ამ დაავადების შესახებ კვლევების ჩასატარებლად...

მოგვიანებით, სწორედ თენგიზ ცერცვაძის და მისი გუნდის მიერ ჩატარებული კვლევების წყალობით გახდა შესაძლებელი ამ დაავადების დროული პროფილაქტიკა. როდესაც აღმოჩნდა, რომ შიდსი საბჭოთა კავშირშიც ისევე არსებობდა, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოს უკვე სერიოზული ნაშრომები ჰქონდა დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს მაშინდელი შიდსის სამსახურის დამსახურება გახლდათ ის, რომ არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ აღმოსავლეთ ევროპასა და მთლიანად ევროპაში თავიდან ავიცილეთ შიდსის ფართომასშტაბიანი ეპიდემია.

ამაზე უფრო დეტალურად ქვეყნის მთავარ ინფექციონისტთან ვრცელ ინტერვიუში მოგახსენებთ...

თენგიზ ცერცვაძე: არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში, მთლიანად ევროპასა და მსოფლიოში, სწორედ ჩვენი შიდსის სამსახურის დამსახურებაა ის, რომ საქართველო არის იმ ძალიან მცირე ქვეყნების რიცხვში, ვინც შეძლო თავიდან აეცილებინა შიდსის მსხვილი, ფართომასშტაბიანი ეპიდემია. აქედან გამომდინარე, თავიდან ავიცილეთ უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალი.

თქვენ რომ გადახედოთ, მსოფლიოში, ევროპაში თუნდაც რუსეთში, უკრაინაში, რა ხდება ამ მხრივ, ნახავთ რომ საქართველო მათთან შედარებით არის დიდი გამონაკლისი, ოაზისი.

შიდსის და სხვა ინფექციური დაავადებების დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადმოგვეცა ჩვენ უმნიშვნელოვანესი ჯილდო – დოქტორ ლის პრემია. ამაზე დიდი აღიარება არ არსებობს. როგორც გითხარით, არა თუ საქართველოს, აღმოსავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანას არ აქვს მიღებული ასეთი ჯილდო.

...ეს მოხდა ჟენევაში, 2009 წლის 21 მაისს მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის სხდომაზე. ამ ასამბლეის სხდომას 200-ზე მეტი ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია ესწრებოდა, მათ შორის საქართველოს სამთავრობო დელეგაციაც. იქ გადმოგვცეს ეს მაღალი ჯილდო. შემდეგ, საღამოს ჯანმო-ს ხელმძღვანელობამ გამართა სადილი, მიღება საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად, ამ ჯილდოსთან დაკავშირებით.

ძალიან დიდი აღიარება იყო. გააჩნია ჯილდოებს. ჯილდოები ბევრი გვაქვს, მაგრამ ეს არის ჯილდო, რომელიც გადაეცემა წელიწადში ერთხელ, ერთ დაწესებულებას ან ერთ ადამიანს.

ჯერჯერობით, საქართველოს გარდა, ასეთი ჯილდო არ აქვს მიღებული აღმოსავლეთი ევროპის არცერთი ქვეყნის სხვა სამედიცინო დაწესებულებას, საუბარია არა მხოლოდ ინფექციური პროფილის დაწესებულებაზე, ონკოლოგიურზეც და კარდიოლოგიურზეც. ეს არის დოქტორ ლის პრემია, ეს ჯილდო ჩვენ გადმოგვცა ჯანმო-ს მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა, ქალბატონმა მარგარეტ ჩანმა...

დღემდე ჩვენ ვინარჩუნებთ შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელს. ჩვენთან შიდსით გარდაცვალების შემთხვევა 2.5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში და 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე აშშ-ში.

– თენგიზ ცერცვაძის და მისი გუნდის თავდაუდებელ შრომას უკავშირდება შიდსის დედიდან შვილზე გადაცემის პრევენციაც.

– დიახ, ეს ერთ-ერთი ნაწილია მხოლოდ, შიდსის დედიდან შვილზე გადაცემის პრევენცია. ჩვენთან პრაქტიკულად ერთეული შემთხვევებია სულ დედიდან შვილზე გადაცემის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ორსული ქალი არ მოვიდა ორსულობის პერიოდში და არ გაესინჯა შიდსზე. ყველა ორსული უნდა გაიტესტოს შიდსზე, ზოგი უბრალოდ არღვევს ამას და არ მოდის.

ჩვენთან, შიდსით ავადმყოფები ქორწინდებიან, აჩენენ ჯანმრთელ ბავშვებს. თუ ადრე შიდსით ავადმყოფების სიცოცხლის ხანგრძლივობა იყო 1 წელი, (მართალია შიდსი არ რჩება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ავადმყოფმა მუდმივად უნდა მიიღოს მედიკამენტები), ახლა თანამედროვე მკურნალობა იძლევა საშუალებას, იმდენ ხანს იცოცხლოს, რამდენსაც არაშიდსიანი ცოცხლობს.

ამისთვის აუცილებელია ექიმთან მივიდეს დროულად, სანამ მას არ აქვს სიცოცხლესთან შეუთავსებელი გართულება. თუ ის მოვა ადრეულ სტადიაზე, როდესაც მას მხოლოდ შიდსი აქვს და არა სხვა სასიკვდილო გართულება, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა პრაქტიკულად შეუზღუდავია.

– საქართველოში არავინ გრძნობს, რომ შიდსით ავადმყოფები არიან.

– ჩვენთან შიდსით რეგისტრირებული 5 ათასი ადამიანია, დაახლოებით 9 ათასამდე სავარაუდო რიცხვია შიდსით ავადმყოფების, იმათი ჩათვლით, ვინც არ არის გამოვლენილი.

შიდსი განაჩენი არ არის. ჩვენთან გამოვლენილი შიდსით ავადმყოფების 86% იმყოფება მკურნალობაზე. 86% მკურნალობს აბსოლუტურად უფასოდ, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. ვინც მკურნალობაზე იმყოფება, მათგან 91%-ს ვირუსი სისხლში არ აქვს, რაც ნიშნავს, რომ ცხოვრობს როგორც ჯანმრთელი ადამიანი. უბრალოდ მედიკამენტი უნდა მიიღოს ყოველდღე. შიდსის პრობლემა საქართველოში კარგად არის მოვლილი და მოგვარებული. ჩვენ ვალდებულება ავიღეთ, 2025 წლისთვის დავასრულოთ შიდსის ეპიდემია!

თქვენ იცით, რომ ასევე აღებული გვაქვს ვალდებულება C ჰეპატიტის ელიმინაციის. ელიმინაცია აღმოფხვრას ნიშნავს, შიდსზე ელიმინაცია არ გამოიყენება, ვინაიდან ის განკურნებადი არ არის, ანუ შიდსიანს ვერ განკურნავ. ვირუსი რჩება ორგანიზმში. ამიტომ ვამბობთ ჩვენ შიდსის ეპიდემიის დასრულება და არა აღმოფხვრა. ეს ნიშნავს, ყველას ვუმკურნალოთ და აღარ იქნეს შიდსის არცერთი ახალი შემთხვევა. ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ 100%-ით მოვიცვათ მკურნალობა, რაც გამორიცხავს შიდსის გადადების შემთხვევას.

თუ 2025 წლისთვის გამოვავლენთ ყველა შიდსიანს და ვუმკურნალებთ, ეს ნიშნავს, რომ შიდსის გადაცემა შეწყდება, ანუ გადაცემის წყარო აღარ იქნება. ამას ჰქვია დავასრულოთ შიდსის ეპიდემია. დიდი ალბათობით C ჰეპატიტის ელიმინაციაც დაემთხვევა, რომელიც, ალბათ, 2025 წლისთვის დასრულდება.

და საქართველო იქნება პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც დაძლევს ერთდროულად ორივე ეპიდემიას!

IPRESS.GE
REPORTIORI.GE

შვიდი მილიონი ინფიცირებული

მსოფლიოში „კოვიდ-19“-ით ინფიცირებულთა რაოდენობამ შვიდ მილიონს გადააჭარბა. მათგან თითქმის ნახევარმა ვირუსი უკვე დაძლია, 413 ათასზე მეტისთვის კი ის ლეტალური აღმოჩნდა.

მსხვერპლით – 112 ათასი გარდაცვლილით ლიდერობს აშშ. მეორე ადგილზე კი გაერთიანებული სამეფოა, სადაც ვირუსს უკვე 50 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ინფიცირებულთა ოდენობით აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს ბრაზილია, 770 ათასზე მეტი ინფიცირებულითა და 40 ათასამდე გარდაცვლილით.

ზელენსკიც დააჯარიმეს

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი საკარანტინო ზომების დარღვევისა და კაფეში ვიზიტისთვის დააჯარიმეს.

პრეზიდენტი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ანდრეი ერმაკსა და სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად კაფეში 3 ივნისს იმყოფებოდა.

ამ შეხვედრის ამსახველი ფოტო კი მისმა პრესსამსახურმა გაასაჯაროვა.

ვლადიმირ ზელენსკის თქმით, მისთვის ჯარიმის გამოწერა სწორი ქმედება იყო.

ყველა ვიზიტორთა ცენტრი 15 ივნისიდან განაგრძობს მუშაობას და ვიზიტორთა მიღებას. მოგზაურობისას გთხოვთ გაითვალისწინოთ ახალი კორონავირუსის COVID-19-ის გავრცელების პრევენციისათვის შემუშავებული შეზღუდვები.

COVID-19 პანდემიისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას:

- შენობებში და დახურულ სივრცეებში (მღვიმეებში) გაიკეთეთ პირბადე, რომელიც კარგად გიფარავთ ცხვირს და პირს;
- ვიზიტორთა ცენტრში შესაძლებელია ერთდროულად 5 ვიზიტორის ყოფნა;
- დაიცავით ფიზიკური დისტანცია მინიმუმ 2 მეტრი;
- რეკომენდირებულია თანხის გადახდა უკონტაქტო გზით ან შეიძინეთ ბილეთები დისტანციურად.

ზოგადი რეკომენდაციები:

- თუ თავს ცუდად გრძნობთ, არ შეხვიდეთ ტერიტორიაზე და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს;
- მოერიდეთ ახლო კონტაქტს ადამიანებთან, ვისაც აღენიშნება ცემინება და ხველა;
- ხშირად დაიმუშავეთ ხელები სპირტის შემცველი სადეზინფექციო საშუალებით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, ან თუ შესაძლებელია, დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით;
- მოერიდეთ პირზე, ცხვირსა და თვალებზე ხელის შეხებას;
- ხველისა და ცემინებისას პირზე და ცხვირზე აიფარეთ ერთჯერადი ხელსახოცი ან მოხრილი იდაყვი;
- გამოყენებული ხელსახოცი დაუყოვნებლივ გადააგდეთ სანაგვე ყუთში და მაშინვე დაიმუშავეთ ხელები სპირტის შემცველი ხსნარით, ან თუ შესაძლებელია, დაიბანეთ საპნით.

№ 72. პარასკევი, 12 ივნისი, 2020 წელი.

სიტყვა მეცნიერულ, სამყაროსეულ და ადამიანურ განზომილებათა სიღრმეებში მზერა-ჩაბრუნებულ მკვლევარზე

„ოთხ და ხუთგანზომილებიანი სამყაროს თვისებები იმდენად გასაოცარია და იმდენად განსხვავებული ჩვენი სამგანზომილებიანი სამყაროსგან, რომ, რაც მათთვის ბუნებრივია, ჩვენი სამგანზომილებიანი სამყაროსთვის შეუძლებელია.“

ივერი ფრანგიშვილი

* * *

2020 წლის 6 ივნისს 90 წელი შეუსრულდებოდა თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერს, მკვლევარს, შრომის ორგანიზატორსა და სამყაროსეული საიდუმლოებების, ახალი მილენიუმის ეპოქაში დამკვიდრების პირველ მკვალავს, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილს. მას წილად ერგო შეჭიდებოდა სრულიად ახალ სამეცნიერო გამოწვევებს მთელ რიგ დარგებში, რასაც მე-20 საუკუნის მიწურული და 21-ე საუკუნის დასაწყისი უქადდა მსოფლიოს გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და, მე ვიტყოდი, გონის ეკოლოგიის თვალსაზრისითაც ზემწვავე პრობლემებს. და ეს იმ დროს, როცა მისი უიშვიათესი გონი მკვეთრად პრაგმატული და კლასიკური მეცნიერებების კალაპოტში მდინარებდა.

ბატონი ივერი ფრანგიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ყოფილი გეპეის, აღზრდილი გახლდათ. იგი 1952 წელს „ელექტრონული სადგურების, ქსელებისა და სისტემების“ ინჟინრის დიპლომით შეუდგა მეცნიერებათა ციცაბოებს.

მერე იყო მოსკოვში, საკავშირო ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში განსწავლის პერიოდი. 29 წლის ასაკში ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ კი ასეთივე წარმატებით გაართვა თავი სადოქტორო დისერტაციას 1968 წელს. 1969 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ბატონი ივერის ცხოვრებისეული გზა 1955 წლიდან მოყოლებული მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტს, რომელსაც ის 1987-2006 წლებში უცვლელად ხელმძღვანელობდა. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იყო სპეციალური პროფილური ინსტიტუტი, რომელიც ჯერ საიდუმლო, მერე კი ზესაიდუმლო გრიფით მუშაობდა, თუმცა ფრიად უწყინარი სახელწოდებით. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ინსტიტუტში საბჭოთა მეცნიერებისა და შემდგომი პერიოდის რუსეთის ელიტარული გონები იყვნენ დასაქმებულები. შესაძლოა, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ბატონი ივერი ფრანგიშვილზე ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას საკმაოდ მცირე ინფორმაცია ჰქონდა, რადგან მისი საქმიანობის შედეგები მედიაში ფართოდ არ შუქდებოდა.

რამდენჯერაც დასჭირდა მისი მახვილი და ელვარე გონი რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ საბჭოთა სახელმწიფოს, იმდენჯერ მას მიმართავდნენ ხოლმე დასახმარებლად პროფილური თუ არა პროფილური მიმართულებით. რად ღირს მარტო იმის გახსენება, რომ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე 1986 წელს მომხდარი აფეთქების შემდეგ პროცესების მართვის მექანიზმი დედამიწის ერთ მეექვსედზე განფენილმა სახელმწიფომ ქართველ მეცნიერს ანდო. 1987 წელს ბატონი ივერი ფრანგიშვილი გახდა საბჭოთა კავშირის ატომური ელექტროსადგურების მართვის გენერალური კონსტრუქტორი. იმდენად თვალშისაცემი გახდა მისი სამეცნიერო-ორგანიზატორული მუშაობის ეფექტი, რომ ბატონი ივერის დამატებით დაევალა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების, ასევე, ჩინეთისა და ირანის პერსპექტიული ატომური ელექტროსადგურების მართვის სისტემების პროექტირების და მონიტორინგის ხელმძღვანელობა.

ცხადია, გამგები გონი წამსვე მიხვდება, როგორი უპირობო ავტორიტეტის იყო ქართველი მეცნიერი მთელ მსოფლიოში.

ბატონი ივერი ფრანგიშვილის უსამანო გონიერებისა და აზროვნების მასშტაბი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამაც გამოსცადა.

1990-იან წლებში, როცა სამყარო გამოკვეთილად ერთპოლუსიანი გახდა, ამერიკის სამხედრო სამრეწველო კომპლექსმა შეძლო განეხორციელებინა უპრეცედენტო ე.წ. „სტელსების“ მრავალ ათეულმილიარდიანი პროექტი. ამერიკული საფრენი აპარატების ზეცაში გადაადგილებას იმ დროისთვის ვერც ერთი ქვეყნის სარადარო სისტემა ვერ აფიქსირებდა. ფაქტობრივად, ეს საფრენი აპარატები უჩინარი შეიქნა რადარებისთვის. კაცობრიობა დადგა ამერიკული სტელსების ცაში ერთპიროვნული ბატონობის ფაქტის წინაშე. გარდუვალი ჩანდა ამერიკის სრული და უკონკურენტო ჰეგემონია ზეცაში.

შექმნილ სიტუაციაში რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებას ეყო გონიერება, საქმეში მეცნიერები ჩაერთო და სწორედ ბატონი ივერი ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი სისტემით შეუძლებელი გახდა ზეცაში სტელსების შეუმჩნეველი გადაადგილება.

ბატონმა ივერიმ თავის ორ თანამშრომელთან ერთად 1996 წელს გააკეთეს სამეცნიერო აღმოჩენა ძალიან უბრალო სახელწოდებით – **„მოძრავი ობიექტის გადაადგილების კანონზომიერებანი“**. მეცნიერთა წრეებში ამას ფონური გადაადგილების პრინციპი დაერქვა. ასე დაასრულეს მათ სტელსების ეპოქა ძალიან მოკლე დროში. ეს იყო მე-20 საუკუნის მიწურულს მსოფლიო მეცნიერებაში უდიდესი აღმოჩენა და იგი ასედაც შეფასდა. ყოველივე ამის შემდეგ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, ფაქტია, რომ ბატონი ივერი ფრანგიშვილი ამერიკის რამდენიმე უმსხვილესმა კორპორაციამ მთავარ მეცნიერ-კონსულტანტად მიიწვია, რადგან იგი კომპიუტერული ტექნოლოგიების და მართვის დარგის შეუდარებელი სპეციალისტი და ექსპერტი გახლდათ.

მთლიანობაში ბატონი ივერი გახლავთ 400-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, ერთი აღმოჩენის, 43 გამოგონების, 24 წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულ იქნა 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია და ყველაფერი ეს მან მისი სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე მოახერხა.

ვინც იცნობდა, ყველამ იცის, რომ ბატონ ივერი ფრანგიშვილს ცალი თვალი და ყური მუდმივად საქართველოსკენ, თავის სამშობლოსკენ ჰქონდა მომართული. მაშინდელმა სამეცნიერო ელიტამ და მთავრობამ ყველაფერი ეს ძალიან კარგად იციან. მისი ხელმძღვანელობით და ორგანიზატორობით საქართველოში არაერთ დარგს ჩაეყარა საფუძველი. მისი შექმნილია საქართველოს საინჟინრო აკადემია, რომლის უცვლელი პრეზიდენტიც თავად ბრძანდებოდა.

სამწუხარო აქ მხოლოდ ისაა, რომ ბატონი ივერის ხელდადებით შექმნილი მიღწევები და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სიახლეები ვერ მოხვდა საქართველოს ბოლო ათწლეულების ხელმძღვანელთა ყურადღების არეალში. არადა, ამ მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა საქართველოს ეკონომიკას სერიოზულად წაადგებოდა.

მე კარგად მახსოვს, როგორი საოცარი მოლოდინი ჰქონდათ საქართველოს საინჟინრო-ტექნიკურ საზოგადოებას, როცა ბატონი ივერი წელიწადში რამდენჯერმე მაინც ახერხებდა სამშობლოში ჩამოსვლას და მაშინვე იწყებდა ზრუნვას მოწინავე ტექნოლოგიების, საყურადღებო ნოვაციების, იდეების აქ დანერგვაზე. მას ამის გაკეთება ნამდვილად არ უჭირდა მისი უზარმაზარი და სრულიად დამსახურებული ავტორიტეტის წყალობით, მაგრამ მონასტერარეულ პოსტსაბჭოთა საქართველოში მას ამის გაკეთების საშუალება, სამწუხაროდ, არ მისცეს.

1985 წლიდან ბატონი ივერი ფრანგიშვილი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ეს ის დროა, როცა აკადემია ჯერ კიდევ სამეცნიერო მიმართულებათა მთლიანი სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენდა.

ბატონი ივერი ფრანგიშვილი ძალიან განიცდიდა 1990-იანი წლების ე.წ. პრიხვატიზაცია-პრივატიზაციის პერიოდს და სწორედ 1994-1995 წლებში შეიმუშავა საქართველოს გაპარტახებული ეკონომიკის აღდგენის 32-პუნქტიანი პროგრამა. მაშინ ის რამდენჯერმე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდაძეს.

მე მქონდა ბედნიერება, ბატონ ივერი ფრანგიშვილთან ურთიერთობისა და მისგან ვიცი, რომ ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ ფრთაშესხმული გამოდიოდა პრეზიდენტის კაბინეტიდან და ის-ის იყო, უნდა დაეწყო პროგრამის მასშტაბურ რეალიზაციაზე მუშაობა, რომ თავად შევარდნაძე იწყებდა უკან დახევას.

სწორედ იმ პერიოდში ფრიად სავალალო სიტუაციაში ჩავარდნილი ქვეყნის, მისი სამშობლოს სტაგნაციური სიტუაციიდან ამოქაჩვისთვის ბატონი ივერი უკიდურეს ნაბიჯზეც წავიდა. გადაწყვიტა, საქართველოს რეფორმატორთა კავშირს სათავეში ჩასდგომოდა და ასე განეხორციელებინა თავისი ნოვაციები, ახალი ეკონომიკური ხედვები.

ნებისმიერი წიგნიერი ერისთვის დიდი მეცნიერი დიდი ბედნიერებაა, ღვთის საჩუქარია, მით უფრო, თუ იგი თავის ვიწრო სამეცნიერო ნაჭუჭში არაა ჩაკეტილი, გლობალური მოაზროვნეა და სამყაროსეულ იდეებსაც ეჭიდება.

ეს, ერთი მხრივ, უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთივე დიდი უბედურებაა, როცა ასეთ მეცნიერს, ასეთ ტიტანს საკუთარი ქვეყანა ვერ გამოიყენებს.

კარგად მახსოვს, 1995 წელს მთელი ორი დღე მიმდინარეობდა საქართველოს რეფორმატორთა ყრილობა რუსთაველის თეატრში და ორივე დღეს პრეზიდენტი შევარდნაძე ყრილობის მუშაობას თითქმის ბოლომდე დაესწრო. ის კარგად ხედავდა, რომ ამ კავშირში დიდი ძალები იყო კონცენტრირებული და რეფორმატორთა კავშირი, შესაძლოა, მოქალაქეთა კავშირის რეალურ ოპოზიციად ქცეულიყო. ბატონმა ივერიმ იქაც გააკეთა ფრიად საინტერესო განცხადება ამ პროგრამაზე და ძალიან საინტერესო სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ...

დადგა საბედისწერო 2006 წლის 28 თებერვალი. ზოგადად ეს დღე მიჩნეულია მეცნიერთა საერთაშორისო დღედ და რაოდენ სიმბოლურია, ისიც, რომ ბატონი ივერის სააქაო ცხოვრების დასასრულისა და საიქეთო ცხოვრების დასაწყისის თარიღი დაემთხვა იმას, რასაც მთელი შეგნებული ცხოვრება გონჩაუხრელად ემსახურებოდა. საიქეთო თემებს, რომელიც დღეს ძალიან ბევრ ცნობილ მეცნიერს, მათ შორის გამორჩეულ ნობელიანტებს თუ სხვებს გულ-გონებას უფორიაქებთ, და მას უკვე 22-ე საუკუნის მეცნიერებად მიიჩნევენ, ბატონმა ივერიმ სიცოცხლის ბოლო ორ ათეულ წელზე მეტი მიუძღვნა. ყოველივე ეს აისახა მის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში, რომელსაც მისი უნიკალური თავმდაბლური თვისებების შესაბამისი სათაური ამშვენებს – **„მართვის ეფექტურობის ამაღლების სისტემური მიდგომები.“** ეს გახლავთ წიგნი, რომლისკენ დაინტერესებული და სამყაროს საიდუმლოებისკენ მუდმივად მომზირალი, მჩხრეკავი და შემმეცნებელი საზოგადოება, ძალიანაც რომ უნდოდეს, დიდხანს სამაგიდო წიგნის სტატუსს ვერ შეუცვლის. ამ წიგნში ისეთი საიდუმლოებებია აკადემიურად და, რიგ შემთხვევებში, თეზისურ ფორმატში ჩამოყალიბებული, რომ გამგები მაშინვე გაიგებს, ხოლო სკეპტიკოსებს და იქედნურად გამხედავებს საკუთარი სკეპტიციზმის უილაჯობაში კიდევ ერთხელ დააფიქრებს.

სხვათა შორის, ცნობისათვის ისიც შემიძლია ვთქვა, რომ ეს და სხვა საკითხები სხვადასხვა დროს ბატონ ივერი ფრანგიშვილს განხილული აქვს საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქთან ილია მეორესთან სტუმრობისას, ვისგანაც იგი მუდმივ მხარდაჭერას გრძნობდა სიცოცხლეშიც და პატრიარქის ხაზგასმული ყურადღება მას გარდაცვალების დღეებშიც არ მოჰკლებია.

სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ რუსეთის პატრიარქი ალექსი მეორე ბატონი ივერი ფრანგიშვილის ამ მონოგრაფიას უმაღლეს შეფასებას აძლევდა და პირდაპირ მიმართავდა რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებას, ქვეყნის მართვის საქმეში ეს ნაშრომი სამაგიდო სახლემძღვანელოდ გამოეყენებინათ!!.

2006 წლის მარტის იმ მძიმე დღეებში, როცა საქართველოს გონიერი და წიგნიერი საზოგადოება უკანასკნელ გზაზე გულდამწუხრებული აცილებდა ბატონ ივერი ფრანგიშვილს, საქართველოს პატრიარქი ორჯერ უშუალოდ მივიდა ოჯახთან და საზოგადოებასთან სამძიმრის გამოსახატავად. საქართველოს პატრიარქმა ძალიან კარგად იცოდა, რაოდენ უკიდეგანო გონის და მასშტაბის მეცნიერს, მოაზროვნეს, რაოდენ ნათელ და განდობილ, ჭეშმარიტ პატრიოტს უნდა გამომშვიდობებოდა საქართველო.

ბატონი ივერის მიმართ სწორედ ეს პატივისმცემლური დამოკიდებულება, სწორედ ასეთი ხაზგასმული მხარდამჭერი მიდგომა გამოხატა პატრიარქმა პირადი მაგალითით მაშინაც, როცა მხარი დაუჭირა მსოფლიოს მასშტაბით, ყოველ შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში მაინც, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას თემაზე – **„მეცნიერება და რელიგია“**, რომელიც თბილისში 2005 წლის 23-24 მაისს ჩატარდა. როგორც ვთქვი, ეს იყო ყველაზე მასშტაბური ფორუმი, რომელზეც სამყაროს წარმომავლობისა და მომავლის საორიენტაციო გლობალური ვექტორის შემუშავებაზე ფიქრობდნენ და ხმამაღლაც აცხადებდნენ. საბედნიეროდ, ეს კონფერენცია შემდეგ წლებშიც გაიმართა, მაგრამ პირველთან შედარებით სხვა კონფერენციებს აშკარად აკლდა ერთი რამ – დიდი ივერი ფრანგიშვილის ფიზიკური არყოფნა..

* * *

მთელი საბჭოთა სამეცნიერო ელიტიდან ბატონი ივერი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი უპირველესი იყო, ვინც მართვის სისტემებში საკალდებულოდ მიიჩნევდა ეგრეთ წოდებული ოქროს კვეთის პრინციპის გამოყენებას და სრულიად რეალური მაგალითებით, სტატისტიკურ მონაცემებით ამტკიცებდა ამ თეორიის ჭეშმარიტებას.

მისი სიკვდილის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აბსოლუტურად დაასაბუთა მართვის მისეული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. გამოიკვეთა ისიც, რომ ყველა დიდი ქვეყანა მიმართავს ამ მეთოდს. თუმცა მისი განხორციელება იოლი ნამდვილად არ არის. ამის გაკეთებას მხოლოდ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები ახერხებენ .

თავად ბატონი ივერი იყო უიშვიათესი მაგალითი და კლასიკური განსახიერება საკუთარი მიგნებების, პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებისა.

მისი მეგობრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბატონი ივერის ერთადერთი რამ არ უყვარდა ცხოვრებაში – მისი პერსონით სხვათაგან ყურადღების მიპყრობა. ასეც ცხოვრობდა, უბრალოდ, სადად, გულისხმიერებითა და ყურადღებით სავსე სხვათა მიმართ. ამიტომ იქნებ ახლა მაინც მივაგოთ ის, რისი ღირსიც სიცოცხლეშივე ბრძანდებოდა ეს განდობილი ადამიანი და მეცნიერი.

* * *

ბატონ ივერი ფრანგიშვილზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი. მან განუმეორებელი კვალი დატოვა ყველა სფეროში, რასაც კი მისი გული და გონება მისწვდა. დარწმუნებული ვარ, სამყაროს ერთიანობის, ურღვევობისა და სისტემური კავშირის საიდუმლოებების კარიბჭესთან მდგომი მეცნიერის ნაშრომები საქართველოს სამეცნიერო გონგახსნილ საზოგადოებას კიდევ მრავალი ასეული თუ არა, ათეული წელი მაინც გამოადგება წინსვლისა და წარმატების მისაღწევად.

გიგლა გოგეჩია,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲒᲔᲓᲐ: ᲛᲔ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲕᲘᲚᲔ ᲚᲕᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ...

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ „კულტურა რასიის“ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მოვისმინე 1980 წელს მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში შვედი ტენორის ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲒᲔᲓᲐᲡ კონცერტის ჩანაწერი. ადრეულ წლებში დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს მის მოღვაწეობას. მაქვს მომღერლის ჩანაწერები გრამფირფიტების სახით, აგრეთვე მისივე ავტორობით გამოცემული მონოგრაფიული სახის ნარკვევი „ნაჩუქარი უსასყიდლოდ არ მიიღება“.

კონცერტის მოსმენამ კიდევ ერთხელ გააცოცხლა ის შთაბეჭდილება, რომელიც მის მიმართ გამაჩნდა. ჩემს წინაშე წარმოჩინდა უმაღლესი საშემსრულებლო ხელწერის, შეიძლება თამამად ითქვას, მსოფლიო დონის ტენორი, თავისი სასიამოვნო ხმის ტემბრით, საუცხოო შეფერილობით და თავისუფალი ფლობით, უკიდურესად რთული ნაწარმოებების გენიალური ფრაზირებით და მშვიდი, დაუძაბავი შესრულებით, მაღალი ნოტების იდეალური ჟღერადობით და იშვიათი გარეგნობით.

საერთოდ სკანდინავიელ მომღერლებს „ცივ შემსრულებლებს“ უწოდებენ, რასაც ვერ ვიტყვით ნიკოლაი გედას შესახებ. მის ხმაში სამხრეთული ტემპერამენტი და შინაგანი ემოცია იგრძნობოდა, იტალიური „ბელ კანტოს“ სასიმღერო სტილის გამოყენებასთან ერთად. მას უდიდეს შვედ ტენორს იუსი ბიორლინგს ადარებდნენ, მაგრამ ჩემი აზრით, გედას ხმას უკეთესი სილამაზე, ხარისხი და მუსიკალური ნაწარმოების სრული გახსნის უნარი გააჩნდა.

ათეული წლების განმავლობაში მომღერლის ხელოვნებას აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაღალი გემოვნების, მომთხოვნი აუდიტორია. მისი სახელი ამშვენებდა მილანის „ლა სკალას“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერის“, პარიზის „გრანდ-ოპერის“, ვენის სახელმწიფო ოპერის, შვედეთის სამეფო ოპერის, ლონდონის „კოვენტ-გარდენის“ და მსოფლიოს სხვა დიდი თეატრების აფიშებს. მას ნამღერი აქვს ისეთ პარტნიორებთან, როგორებიც არიან: მარია კალასი, ვიქტორია დე ლოს ანხელესი, რენატო ტეპალდი, მონსერატ კაბალიე, ბორის ხრისტოვი, ჯორჯ ლონდონი; თანამშრომლობდა დიმიტრი მიტროპულოსთან, ოტო კლემპერერთან, ჰერბერტ ფონ კარაიანთან, ლეონარდ ბერნს ტაინთან... შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში გედა მსოფლიოში პირველ ტენორად ითვლებოდა.

ნიკოლაი გედა, სრული სახელით – გარი გუსტავ ნიკოლაი გედა დაიბადა შვეციის ქალაქ სტოკჰოლმში 1925 წელს. მომღერლის დაბადების ისტორია სხვადასხვა სიტუაციებთანაა დაკავშირებული. მისი ბიოლოგიური მშობლები იყვნენ – ნიკოლაი გედა და კლარი ლინიევ ლინდბერგი, ხოლო გამზრდელი მშობლები – ნიკოლაი გედას ღვიძლი და ოლღა გედა და მისი მეუღლე, კაზაკური წარმომავლობის რუსი ემიგრანტი მიხაილ უსტინოვი. მიხაილი წარმოშობით რუსეთის პატარა ქალაქ ნოვოჩერკასკიდან იყო. ახალგაზრდობაში მან სემინარია დაამთავრა, სადაც მუსიკა აუცილებელ საგანს წარმოადგენდა. ოქტომბრის რევოლუციის დროს, როგორც ბევრი სხვა, იგი რუსეთიდან გაიქცა და ემიგრანტებთან ერთად სტოკჰოლმში აღმოჩნდა, სადაც შეხვდა მომავალ მეუღლეს. მიხაილს შესანიშნავი ბანი ჰქონდა და „ყუბანელი კაზაკების“ ემიგრანტთა გუნდში მღეროდა. ეს ისეთი დონის გუნდი გახლდათ, რომ საგასტროლოდ იტალიასა და გერმანიაშიც კი მოგზაურობდა.

ოჯახის ლაიფციგში გადასვლის შემდეგ მიხაილმა „მედავითნის“ საეკლესიო მსახურება დაიწყო რუს ემიგრანტთა ეკლესიაში, სადაც მგალობელთა გუნდსაც ლოტბარობდა. ასე რომ, ნიკოლაი ბავშვობიდანვე სიმღერის გარემოცვაში იზრდებოდა, რამაც დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ საქმიანობაზე. ალბათ სამი წლის იქნებოდა, როდესაც ბავშვური ხმის ინტონაციით დაიწყო სიმღერა. სრულიად პატარას მამამისმა რუსული ხალხური სიმღერა „ვეჩერნი ზვონ“ შეასწავლა, რასაც სხვა სიმღერების შესწავლა მოჰყვა. მიხაილი თავისი სიმკაცრით გამოირჩეოდა და ნიკოლაისგან თამაშისა და გართობის ნაცვლად, რაიმე სასარგებლო საქმის კეთებას ითხოვდა, რისთვისაც მას მუსიკალური ნოტების ათვისება დაავალა. სულ მალე იგი ფისგარმონიაზე დაკვრას და სიმღერას ეუფლება. სიმღერა მის ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა. მშობლები გედას მკაცრი წესებით ზრდიდნენ. „დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მკაცრი მიდგომა ზიანს აყენებს ბავშვის განვითარებას. ალბათ ამიტომაც გავხდი ასეთი მორცხვი, ადამიანებთან ურთიერთობაში გახსნილი არ ვარ; რატომ არ ვაჯუკარავებ ჩემს გრძნობებს? მთელი ცხოვრება რატომ ვცდილობდი პრობლემებისთვის შემომევლო და არა გადამელახა ისინი? მგონი, ეს გამოწვეულია იმ შიშის შეგრძნებით, რომელსაც ბავშვობის წლებში განვიცდიდი“, – წერს თავის წიგნში მომღერალი.

გერმანიის სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, ნიკოლაი გედას ოჯახი შვეციაში, კერძოდ სტოკჰოლმში დაბრუნდა საცხოვრებლად. აქ იგი სწავლობდა კატარინინის რეალურ სკოლაში, სადაც მუსიკას დიდი ყურადღება ექცეოდა. სკოლაში ხშირად იმართებოდა კონცერტები, მუსიკალური საღამოები. გედა აქ სოლოს მღეროდა. გარკვეულ ასაკში, მუტაციის პერიოდში, სიმღერა აკრძალული ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს, ეკლესიაში ყოფნისას ხმა დაუბრუნდა, მაშინ იგი ჩვიდმეტი წლის იყო. მომღერლობაზე არასოდეს უფიქრია. თავის სარჩენად და ოჯახის დასახმარებლად უამრავ საქმეს მოჰკიდა ხელი, თუმცა სიმღერისადმი სიყვარული და ინტერესი სულ თან სდევდა. აღფრთოვანებული იყო იტალიელი ტენორის ბენიამინო ჯილის სიმღერით და ოცნებობდა მასავით ემღერა. მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარული რადიომ გაუღვივა, როდესაც ომის დროს საათობით უსმენდა ჯილის, შვედ იუსი ბიორლინგს, გერმანელ რიჰარდ ტაუბერს, დანიელ ხელგე როსვენგეს.

1946 წელს ნიკოლაი გედა გაწვეულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. სწორედ აქ გამჟღავნდა მისი ვოკალური შესაძლებლობები. იგი სიმღერის სწავლას იწყებს მომღერალ მარტინ ემანთან, პარალელურად ბანკში მუშაობს. შესამჩნევი წარმატებით მღერის ერიკ ერიქსონის ანსამბლ „ფილკინგენში“, სადაც შუასაუკუნეების სპეციალიზებულ მუსიკას ასრულებდნენ ძველ ინსტრუმენტებზე. ამან გედას სასიმღერო პრაქტიკას უდიდესი სარგებლობა მოუტანა. იდეალური მუსიკალური სმენის წყალობით იგი იოლად გადადიოდა ერთი სტილის მუსიკიდან მეორეში. მამამისთან აქტიურმა მცადინეობამ ყველაზე რთული მუსიკალური ნაწარმოებების დაუფლების საშუალება მისცა.

მალე იგი ჩარიცხეს საოპერო სკოლაში, სადაც ვაგნერის „მეისტერზინგერის“ ერთერთი მონაკვეთის შესრულება დაევალა. პარალელურად მეცადინეობას კვლავ აგრძელებდა მარტინ ემანთან, რამაც გარკვეული დახმარება გაუწია მისი სასიმღერო ტექნიკის ამაღლების პროცესს.

1951 წლის შემოდგომაზე, საოპერო სკოლაში დილის რეპეტიციის დროს, ვოკალის პედაგოგი კურტ ბენდიქსი მოულოდნელად ეკითხება ნიკოლაის: „მომისმინეთ, ბატონო გედა, ხომ არ მოსინჯავთ ამ ნოტის აღებას?“ და მან ფორტეპიანოზე თითი დაადო ყველაზე მაღალი ტესიტურის ნოტს. გედამ ნოტი თავისუფლად აიღო. „ო, ეს ბრწყინვალე იყო“, – აღნიშნა პედაგოგმა. რამდენიმე კვირაში იგი ნიკოლაის მთავარ პარტიას სთავაზობს ადანის ოპერაში „ფოსტალიონი ლონჯიომოდან“. ეს იყო მისი პირველი ნათლობა საოპერო სცენაზე, ამავე დროს, დიდად წარმატებული. „ფოსტალიონი გახდა ჩემი ლატარიის ბედნიერი ბილეთი“, – ამბობს მომღერალი. პირველმა აღიარებამ გზა გაუხსნა ახალი მწვერვალებისკენ.

მოკლე ხანში საერთაშორისო გრამჩანაწერების კომპანიის ხელმძღვანელმა ვალტერ ლეგტემ გედა მიიწვია მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვის“ გრამფირფიტაზე ჩაწერისთვის „სამოზვანეცის“ (თვითმარქვიას პარტიის შესასრულებლად.

უკვე 1953 წელს ნიკოლაი გედა წარმატებით გამოდის მილანის „ლა სკალაში“ ორფის ოპერაში „აფროდიტეს ტრიუმფი“ ჰერბერგ ფონ კარაიანის დირიჟორობით. ამის შემდეგ იგი გამოდის ლონდონის, პარიზის, მიუნხენის, კოპენჰაგენის და მშობლიური სტოკჰოლმის თეატრებში. 1957 წლიდან იწყება მომღერლის ტურნე ამერიკაში, ჯერ კანადაში, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ იგი მღერის პიტსბურგში ოპერა „ფაუსტის“ მთავარ პარტიაში. ამის შესახებ ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია ასეთი სათაურით: „შვედი ტენორი განუზომლად შთამბეჭდავია“. შემდეგ იგი გამოდის სან-ფრანცისკოში, ჩიკაგოსა და სანტა-ბარბარაში. სულ მალე გედა მოსასმენად მიიწვია ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერის“ დირექტორმა რუდოლფ ბინგმა. „აი, გამოვედი სცენაზე, შევათვალიერე თეატრის გიგანტური დარბაზი, რომელიც 3800 მაყურებელს იტევს და ჩემთვის გავიფიქრე: „საინტერესოა, ამხელა დარბაზში როგორ უნდა მომისმინონ? მაგრამ დავიწყე თუ არა სიმღერა, აღმოვაჩინე, რომ ჩემი ხმა რაღაც ჯადოსნური ძალით იზრდებოდა სივრცის ზრდასთან ერთად. ამან მე გამიიოლა სიმღერა. ვიმღერე ფაუსტის არია თავისი მაღალი „დო“-თი და მოცარტის რომელიღაცა არია.“ მოსმენამ დიდებულად ჩაიარა და იგი თეატრის სოლისტად ჩარიცხეს. გედა „მეტროპოლიტენ ოპერის“ ნაწილი გახდა, სადაც იგი 18 სეზონი გამოდიოდა. „მეტროპოლიტენ ოპერის“ თეატრში აღიარებამ მას მსოფლიოს უდიდესი თეატრებისკენ გაუხსნა გზა.

ნიუ-იორკში იგი ვოკალში მეცადინეობას იწყებს რუსი წარმომავლობის ებრაელ ქალბატონთან პაოლა ნოვიკოვასთან, რომელიც ადრეულ პერიოდში წარმატებით მღეროდა რუსეთსა და ევროპაში. „სულ მალე ვიგრძენი, რომ უკეთესად ვმღეროდი. ჩემი ხმა უფრო რბილი და თანაბარი ჟღარედობის გახდა, ვიდრე ადრე“, – გადმოსცემს ნიკოლაი გედა. საკონცერტო შესრულებით გამოდის „კარნეგი-ჰოლში“. აქ იგი მღერის მამაკაცთა რუსულ გუნდთან ერთად, სადაც შთამბეჭდავი წარმატებით ასრულებს როგორც რუსულ, ასევე იტალიურ, ფრანგულ, გერმუნალ ნაწარმოებებს? რეცენზიაში ვკითხულობთ: „ასეთი ულამაზესი შესრულება კარუზოს კარიერის გაფურჩქვნის შემდეგ აღარ მოგვისმენია. მსმენელი სრულ ექსტაზში იმყოფებოდა“. ნიკოლაი გედა ტრიუმფით მღერის ბოსტონში, კლივლენდში, ჰიუსტონში, დალასში, ატლანტაში, მემფისში, ოკლაჰომაში, ჩიკაგოში, ტორონტოსა და დეტროიტში.

ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲗᲣ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲰᲥᲜᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲮᲛᲐ. ᲘᲒᲘ ᲐᲡᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲓ: „ᲛᲔ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲕᲘᲚᲔ ᲚᲕᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲘ ᲛᲐᲡᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ. ᲘᲡᲔ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲔᲫᲧᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

მან დიდხანს შეინარჩუნა ხმის ახალგაზრდული ჟღერადობა და ხარისხი. ასე მაგალითად, 1976 წელს ლონდონის „კოვენტ გარდენში“, ოპერა „გენვენუტო ჩელინში“ მისი გამოსვლა ასე შეაფასეს: „უბრალოდ საოცრებაა, იმდენად ახალგაზრდულად ჟღერს მისი ხმა“.

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება მომღერალი, რომელსაც მსოფლიოს რამდენიმე ენაზე შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების იმდენი რეპერტუარი გააჩნდეს, რამდენიც ნიკოლაი გედას: 52 – ოპერა, 20 – ორატორია, 3 – ოპერეტა, 144 – გრამფირფიტა. მართლაც შთამბეჭდავი ციფრებია. თითოეული მათგანის უკან მომღერლის არა ერთი მუსიკალური აღმაფრენა, შინაგანი ემოცია და დრამატული სახის გახსნის შესაძლებლობები დგას, რაც თავისთავად უდიდეს შრომასთან და ძალისხმევასთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას: გედას პირველი მეუღლე პარიზელი რუსი ემიგრანტის ქალიშვილი ნადია საპუნოვა გახლდათ. მათი ქორწინება 1952 წელს შედგა. მასთან მომღერალს ქალიშვილი ტატიანი ჰყავდა. 1964 წელს მან მეორედ იქორწინა ნიუ-იორკში მცხოვრებ ბერძენი ემიგრანტის ქალიშვილ ანასტასია კარავიოტისზე. მასთან ვაჟიშვილი დიმიტრი შეეძინა.

ნიკოლაი გედა გარდაიცვალა 2017 წელს 92 წლის ასაკში.

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,



საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ქართული კულტურის ამაგდარი, ღირსების ორდენის კავალერი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი
ᲢᲔᲚ. 551 49 19 97.

„ᲥᲐᲠᲬᲐᲦᲔᲑᲣᲚᲜᲘ“ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲡ

ᲡᲢᲠᲘᲛᲘᲜᲒ-ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲛᲐ **HBO Max** ლეგენდარული ფილმი „ქარწაღებულნი“ თავისი კატალოგიდან დროებით ამოიღო.

„ქარწაღებულნი“ თავისი დროის პროდუქტია. ის ეთნიკურ და რასობრივ ცრურწმენებს ასახავს, რომლებიც, ამერიკულ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ჩვეული მოვლენები იყო. ეს რასისტული წარმოდგენები არც მაშინ იყო სწორი და არც ახლაა“, – ნათქვამია პლატფორმის განცხადებაში. **HBO**-ში პირობა დადეს, რომ ფილმს მოგვიანებით დააბრუნებენ და მასთან ერთად ეთერში სურათის ისტორიული კონტექსტის განხილვა და ამ ცრურწმენების დაგმობა გავა.

1939 წლის „ქარწაღებულნი“ აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს სკარლეტ ოჰარას და რეტ ბატლერის სიყვარულის ისტორიას მოგვითხრობს. მთავარი როლები სურათში ვივიენ ლიმ და კლარკ გეიბლმა შეასრულეს. სურათმა 8 „ოსკარი“ მიიღო. ჯილდო შავკანიან მსახიობ ჰეტი მადკენიელსაც ერგო. ის პირველი აფროამერიკელი გახდა, ვისაც „ოსკარი“ გადასცეს, მაგრამ რასობრივი სეგრეგაციის გამო ცერემონიაზე ის თავისი კოლეგებისგან ცალკე იჯდა.

ილიას ეპოქა პირამიდის წვერიდან

როსტომ ჩხეიძის „მუხა უდაბნოში: ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა“!



ჩემი მოლოდინი: საინტერესო ბიოგრაფიული რომანი: „მუხა უდაბნოში“ – წმიდა ილია მართლის მოწამეობრივი და ბრწყინვალე სიცოცხლის შესახებ დოკუმენტური მასალების, წყაროების, გამოკვლევებისა და დიდი მწერლის ქმნილებების სინქრონიზებული გააზრებით...

აღმოჩნდა, რომ ეს არ არის მხოლოდ ბიოგრაფიული რომანი.

შორეული წარსულის (უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე), ახლო წარსულის (XX-XXI საუკუნეების მიჯნა), აწმყოსა და მომავლის ბუნდოვანი სურათების ფონზე ჩემ თვალწინ **ცხადლივ წარმოჩნდა** მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს სულიერი და კულტურული ცხოვრების ძირითადი წახნაგები. რომანში ეს წახნაგები, განსხვავებული რეალური ადამიანების, ორიენტირებისა თუ ათვლის სისტემების შესაბამისად, სხვადასხვანაირადაა აღწერილ-დახასიათებული. ავტორი არ აჯამებს, რომელიმე თვალსაზრისს არ ამყარებს: **დასკვნის გამოტანის უფლება როსტომ ჩხეიძემ 21-ე საუკუნის მკითხველს მიანდო.**

უთუოდ დიდი შრომა, ძალიან დიდი შრომა დასჭირდა ამდენი მასალის მოძიებას, წაკითხვას (ძალიან ბეჯითის მთელი სიცოცხლეც არ ეყოფა საამისოდ) და კონცეპტუალურად გააზრებას. როსტომ ჩხეიძე დღედაღამ რომ მუშაობს, გასაგებია, მაგრამ კიდევ სხვა „რაღაც“ უნარებს ფლობს, ამდენი რომ შეძლო.

როსტომმა ამდენი ძალიან მრავალფეროვანი მასალა შეაპირისპირა, ისტორიული პირები საკუთარ პერსონაჟებად ჩამოძერწა, მათი სხვადასხვა დროის ნათქვამები საკუთარი ენობრივი სტილით შემოსა, ბევრი სიუჟეტისგან ერთი მრავალგანზომილებიანი ტილო შექმნა, რომ ილიას **ეპოქის სული ხორცშესხმულად დაგვენახა.**

უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ როსტომ ჩხეიძე თავად მსჯელობს წიგნის ორ კარში: „აჩრდილი ბაირონისა“ და „გმირის დამბადი დიდი საგანი“.

სხვა ორ კარში კი ილიას თანამედროვეთა ურთიერთსაპირისპირო მონაყოლით მიმდინარეობს ირიბი დისკუსია ილია ჭავჭავაძის ღვაწლის შესახებ. მწერალი ალაპარაკებს ილიას მტრებსაც კი. როსტომი სხვადასხვა პირთა ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს არ აფასებს; საკუთარ მსჯელობას თავს არ გახვევს, მაგრამ საკუთარი მყარი პოზიცია კარის სათაურშივე აქვს მოცემული. არ აფასებს, რადგან მკითხველს უტოვებს სივრცეს, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მოცემული კარის სათაურს.

ნიშანდობლივია ამ კარების სახელებიც: **„ბეთლემის ვარსკვლავი ყვარლის თავზე“** და **„ეკლიანი და პატარა გზა“.**

მკითხველს აქვს ფუფუნება, ერთად ნახოს თავმოყრილი უამრავი სანდო ინფორმაცია და აქვს სრული თავისუფლებაც, თავად განსაჯოს, თავად შეაფასოს ამა თუ იმ ისტორიული პერსონაჟის პოზიცია და **პირუთვნელი დასკვნაც გააკეთოს.**

დიდი ფორმატის 974-გვერდიანი რომანის ბოლო წერტილის შემდეგ, ილიას ეპოქას თვალს კიდევ ერთხელ რომ გააყოლებთ, დალანდავთ როსტომ ჩხეიძესაც ჩვეული ღიმილით – **სევდიანი და კეთილად ნიშნისმოგებითი ღიმილით,** რომელიც კეთილგანწყობით „გეუბნება“:

წესიერო მკითხველო, სხვა არჩევანი არა გაქვს, უნდა დამეთანხმო: წმიდა ილია მართალი ჩვენთვის, საქართველოსთვის, ავიდა გოლგოთაზე; **წამებით გაიარა პატარა გზა, რომ დიდ გზაზე დამდგარიყო ყველა მომავალი თაობის მეგზურად.**

...წარმოიდგინეთ დიდი პირამიდა შიგნით ზამბარისებრი კიბით, რომელიც პირამიდის ყველა შიდა კუნჭულში შეგახედებთ. მკითხველს წინ მიუძღვის ხან როსტომი, ხან – მისი რომელიმე ისტორიული პერსონაჟი. ნელ-ნელა ადიხარ პირამიდის წვერზე, სადაც ავტორი მარტო გტოვებს, რომ ამ სიმაღლიდან აღიქვა **ილიას ეპოქა გარემომცველი სივრცით.**

„პირამიდის წვერზე“ მე რატომღაც როსტომის ერთ-ერთი პერსონაჟის – ნოე ჟორდანიას (შეიძლება იმიტომ, რომ ახლახან იყო 26 მაისი) ნათქვამი ისტორიული ფრაზა ამეკვიატა:

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ნებსითი თუ უნებლიე დამფუძნებელი ილიას ეროვნულ-კულტურულ ორიენტირებს საქართველოში დაბრუნებისთანავე უარყოფდა (ისევე, როგორც ზოგი დღევანდელი ფსევდოლიბერალი). ამის გამო ნოე ჟორდანიას თავიდანვე უთხრეს: **მოვა დრო და შენც ილია ჭავჭავაძის დროშას შეეფარებიო...** ამის მთქმელს ნოემ უპასუხა: **„წარსულის ტყვეობაში ხარ“, „ნაციონალიზმში ჩარჩი“-ო...** ბოლოს, დასავლეთში თავშეფარებული **ნოე სიცოცხლის ბოლო წლებში მართლაც ილიას დროშას შეეფარა:** ჯერ სულიერად, მისი ხელიდან, უიარაღოდ, მოკლა ილია ჭავჭავაძე და მერე მაინც მას მიემოწაფა.

დღესაც გვაქვს ანალოგიური შემთხვევა:

ზოგი, ვინც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ზვიადი გამსახურდია გაწირა, ახლა ისევ ზვიადის „დროშას ეფარება“; ამ ზოგიდან ერთნი მართლა გულწრფელად ინანიებენ, მეორენი დიდებულ იდეას მხოლოდ ეტმასნებიან, მესამენი **კი პუტჩისტობაზე უარეს უზნეობას ჩადიან:** ზვიადის სახელით ინიღბებიან და, ამავდროულად, ტექსტებიდან ამოგლეჯილ-დამახინჯებული ციტირებებით, ერთი მხრივ, აყალბებენ დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწის კონცეფციას, მეორე მხრივ კი, **რუსი თუ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სხვა პოლიტელიტების დაკვეთით,** ენობრივ-ეთნიკურ თუ პოლიტიკურ დივერსიებს აწყობენ საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ.

საბედნიეროდ, დღეს უფრო ბევრნი ვართ, ვინც სწორად ვხედავთ; ვხედავთ, რომ ვერაგულად მოკლული ილიასა და ზვიადის დროშა აიეტისა და ასევე ვერაგულად მოკლული აფსირტეს დროშაა; ქუჯისა და ფარნავაზის დროშაა, ვერაგულად მოკლული ვახტანგ გორგასლის დროშაა, ვერაგულად მოკლული აშოტ კურაპალატის დროშაა, დავითისა და ცოტნეს დროშაა, გიორგი ბრწყინვალის დროშაა, ალექსანდრე ბატონიშვილისა თუ ალექსანდრე ორბელიანის გადამალული დროშაა... XXII-ე საუკუნის ღირსეული ქართველის დროშაა!

P.S.

როსტომმა ილიას შესახებ ბიოგრაფიული დიდი რომანი კი არ დაწერა, XIX-XX საუკუნეების საქართველოს სულიერი და ეროვნული ცხოვრება 21-ე საუკუნის მკითხველის თვალსაწიერთან მოიტანა, რომ დღეს თუ ხვალ იგივე შეცდომა კვლავ არ დავუშვათ და 100 წლით კიდევ არ გადავდოთ მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოს შეუქცევადი აღორძინება.

ტარიელ ფუტკარაძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ხელჯოხი მოსესი

დათო მაღრაძის „უსადაურო“



დათო მაღრაძის პოეზიისთვის უცხოა ემოციური და კონვულსიური, ნერვული სალექსო ერთეულები, ეგზისტენციური ზღვრულობა, რაც ასეთი ორგანულია თანამედროვე ქართული და არა მხოლოდ ქართული პოეზიისთვის. პოეტის შინაგან წონასწორობას, ჰარმონიას საკუთარ თავსა და სამყაროსთან, ფესვების ერთგულება, ტრადიციების სიყვარული განაპირობებს. დათო მაღრაძეს არ ეშინია იმის, რომ ამ დამოკიდებულების გამო რეტროგრადობას, ჩამორჩენილობას დასწამებენ. პირიქით, იგი ძალიან თანამედროვე ავტორია და არა მხოლოდ საქართველოში. სწორედ უცხოელი რედაქტორი ეუბნება პოეტს: „თქვენს ქვეყანაში გადარჩა რაღაც.“ ამ გადარჩენილი ღირებულებების საუნჯეა დათო მაღრაძის პოეზია. პოეტი გამუდმებით უბრუნდება მამის სახლსა და წიაღს, რაც არა მხოლოდ ფესვებთან, არამედ უფლის წიაღში დაბრუნებასაც გულისხმობს. დათო მაღრაძეს ტრადიციული სათქმელი ახალი ფორმით მიაქვს მკითხველამდე. ამ კრებულში არაერთი მეტრული და რიტმული სიახლეა, ვერსიფიკაციული ძიებებია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია უცნაური ანჟანბემანი – სტროფიდან სტროფზე გადატანის განსხვავებული ხერხებით.

ამ კრებულის ლექსებისთვის უცხოა პოეტური და პიროვნული აპლომბი, „ნარცისული რიტორიკა“. პოეტი არსად საუბრობს თავის გამორჩეულობაზე, ერთადერთობაზე, თუმცა გამუდმებით ხაზს უსვამს პოეტის დანიშნულებას, მის განსაკუთრებულ როლს:

შენ ვერ იქნები ოდნავ ჯვარცმული
და ან ცოტათი აღმდგარი მკვდრეთით.

საკუთარ ეპიგრაფში კი, რომელიც დათო მაღრაძის თავისივე ლექსისთვის წარუმძღვარებია, ვკითხულობთ:

თუ არ მოუსმენ პოეტს,
ტირანს მოუსმენ მაშინ.

პოეტის მისია განსაკუთრებულია:

დღეს მე მაქვს კალამი –
ხელჯოხი მოსესი,
ბოსფორის ტალღების შუაზე გამყოფი!

ზღვა და თოლია სამხრეთის, გართობის, სილაღის მეტონომიური სახეებია, დათო მაღრაძის თოლია სცდება ამ ჩარჩოებს. თოლია, რომელიც „სივრცეს არ უთანხმებს ნატოს და პენტაგონს.“ ის მტრედის ფუნქციასაც ასრულებს: „მიფრინავს ზეცაზე წერილი საფოსტო;“ „და შერჩა ამ ზეცას პილოტი – ანტუან სენტ ეგზიუპერი - უკვდავი თოლია.“ ეგზიუპერის საოცარი სახე-მეტაფორა, განსაკუთრებით რომ მოხიბლავს ფრანგი მწერლის თაყვანისმცემლებს!

დათო მაღრაძის პოეზიაში ჩანს სამყაროს უიტმენისეული ხედვა. **„ადამიანური პიროვნების ყოვლისმომცველობა, მარადიულობა აღძრავს ენთუზიაზმს პოეზიისას. უიტმანის შემოქმედების ცენტრში ადამიანი დგას მუდამ. ადამიანი, ხატი ღვთისა, თავად მიწიერი ღმერთი, მისი ფიზიოლოგია, ფიზიოგნომიკა, მისი ზოგადი კოსმიური არქეტიპები: მარადვაჟური და მარადქალური. მის ვნებათა უსაზღვროება, პულსი და ძალა, მოქმედების თავისუფლება, რომლითაც იგი ახორციელებს ღვთის მარადჟამულ კანონმდებლობას. თანამედროვე ადამიანი, რომელიც მოითხოვს, რათა უზენაესი სრულყოფით გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი მეობა.“** ეს სიტყვები ზვიად გამსახურდიას ცნობილი წერილიდანაა – **„მე – უოლტ უიტმანი კოსმოსი.“**

დათო მაღაძის პერსონალური გამოცდილება და განცდები მის პოეზიაში ზოგად ადამიანურად სახეცვლილდება. ამ ლექსების ლირიკული გმირი სრულყოფილებით ავლენს თავის შემოქმედებით მეობას! ამასთან დათო მაღრაძის პოეტურ მზერას არც ერთი დეტალი, მოჩვენება არ გამორჩება, არ გამოეპარება:

დიდი ამბიდან დეტალი არ ჩანს,
დეტალიდან ჩანს
დიდი ამბავი...
იმ ეპოქიდან სტრიქონი დარჩა,
იმ ეპოქაში დაუსტამბავი.

ამ ეპოქიდან ბევრი რამ არ შერჩება დროსა და მარადისობას, მაგრამ შერჩება ადამიანი, როგორც ღვთის ხატი და ამ ჭეშმარიტების ამსახველი, დამტევი მხატვრული სიტყვა!

ლოგიკური წერტილით სრულდება ეს პატარა პოეტური კრებული („უსადაურო“, 2016, „საარი“). ლექსს „ნიუსი“ ეწოდება და ერთგვარ ხიდად წარმოგვიდგება წარსულსა და აწმყოს შორის, ტრადიციის უწყვეტობის, მარადიულობის განცდას გიტოვებს კიდევ ერთხელ:

ყველა ნიუსზე ცხელი ნიუსი, –
...რაც პოეტისთვის ორჯერ ორია...
წინ მიუძღვება ვერგილიუსი
ალიგიერის ალეგორიას.

მარინე ტურავა,
სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი

◎ კალათბურთი

ქართველი ნომინანტები

ესპანეთის ლიგა ენდესას ვებ-გვერდზე სეზონის საუკეთესო მოთამაშის გამოკითხვა დაიწყო, რომელიც ოთხშაბათამდე – 17 ივნისამდე გაგრძელდება.

შეფასებისთვის ოთხი ძირითადი კრიტერიუმია - გამოკითხვაში მონაწილეობას მოთამაშეები, მწვრთნელები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები მიიღებენ. თითოეულის ხმა საერთო შედეგის 25%-ს წარმოადგენს.

ნომინანტთა შორის ორი ქართველია - გიორგი შერმადინი და თორნიკე შენგელია. ხმის მიცემა შესაძლებელია ტვიტერის მეშვეობით და ამისთვის საჭიროა ტვიტერში დაწეროთ: MVP Movistar Twitter Tornike Shengelia ან Giorgi Shermadini.

უფრო მარტივია გზა, რომელიც ავტომატურად ტვიტერზე გადაგიყვანთ და იქ მხოლოდ გაზიარების ღილაკზე თითის დაჭერა იქნება საჭირო.

აქვე გეტყვით, რომ შენგელია 2019-2020 წლების სეზონში ლიგა ენდესას 23 მატჩში საშუალოდ 33 წუთში 16.6 ქულას, 6.3 მოხსნას, 2.7 პასს, 1.4 ჩაჭრასა და 0.3 დაფარებას აგროვებდა, ხოლო შერმადინმა 22 მატჩში საშუალოდ 26 წუთში 18.3 ქულა, 7.1 მოხსნა, 1.5 პასი, 0.6 ჩაჭრა და 0.5 დაფარება მიითვალა.

ცნობისთვის: ლიგა ენდესას გათამაშება 17 ივნისს განახლდება და განახლებული ფორმატის ტურნირში 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ ექვსგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ, ორ-ორი საუკეთესო კი ჯგუფიდან გავა და ასპარეზობას პლეი-ოფში გაგრძელებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საბრძოლო ხელოვნება

სადებიუტო სამზადისი

რომან დოლიძე აბსოლუტურ საბრძოლო ხელოვნებაში სადებიუტო მატჩისთვის ემზადება, რომელსაც ქართველი მებრძოლი რუსეთელი ხადის იბრაგიმოვის წინააღმდეგ გამართავს. ამის შესახებ mmanda.nl წერს.



აღნიშნული დაპირისპირება აბუ დაბიში 18 ივლისს შედგება. დოლიძის მეტოქეს აქამდე UFC-ში 2 ბრძოლა აქვს ჩატარებული და ორივე შემთხვევაში დამარცხდა. რაც შეეხება შერეულ საბრძოლო ხელოვნებას, მის ბალანსზე 8 მოგების საპირისპიროდ 2 წაგებაა.

ქართველი სპორტსმენი ახალ გამოწვევას მარცხის გარეშე ხვდება და მას MMA-ში 6 ორთაბრძოლიდან ყველა მოგებული აქვს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

შეცვლილი ფორმატით

NBA-ს შემდეგ აშშ-ში MLS-ის სეზონის ფორმატიც შეცვალეს. 12 მარტს შეწყვეტილი ტურნირი 8 ივლისს განახლდება და 11 აგვისტოს დასრულდება. ყველა შეხვედრა (როგორც NBA) ორლანდოში, Walt Disney World Resort-ში გაიმართება. გასართობი პარკი აღჭურვილია დიდი სპორტული კომპლექსითა და მოედნებით.

MLS-ის 26 გუნდი 6 სხვადასხვა ჯგუფში გადანაწილდება და 8 ივლისიდან ჯგუფური ეტაპის გათამაშება დაიწყება. 25-28 ივლისს მერვედფინალი, 30 ივლისიდან 1 აგვისტომდე მეოთხედფინალი, 5-6 აგვისტოს ნახევარფინალი, ხოლო 11 აგვისტოს ფინალი გაიმართება.

საერთო ჯამში 54 თამაში ჩატარდება. აქედან 39 – ჯგუფურ ეტაპზე, ხოლო 15 – პლეი-ოფში. ისიც ვთქვათ, რომ MLS-ის ყველა გუნდი Walt Disney World Resort-ის 27 სასტუმროში დარჩება და, ბუნებრივია, საწვრთნელ პროცესსაც იქ გაივლის. მატჩები თითქმის ყოველდღე, სამ სხვადასხვა დროს გაიმართება. გარდა ამისა, ამერიკაში მიიღეს IFAB-ის წინადადება და თითოეულ გუნდს 5 შეცვლის უფლება ექნება. ცხადია, სეზონის მიმდინარეობისას გამოყენებული იქნება სამედიცინო ოქმები და COVID-19-ის ტესტირების გეგმა, რომელიც ინფექციური დაავადების ექსპერტებმა შეიმუშავეს.

შეგახსენებთ, რომ MLS-ში ორი ქართველი ფეხბურთელი – ვაკო ყაზაიშვილი და გურამ კაშია თამაშობენ, რომლებიც „სან ხოსეს“ ღირსებას იცავენ.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

ნათია გავაშელი – ახალი კაპიტანი

მას შემდეგ, რაც შარშან ქეთი მოდებაძემ აქტიურ სპორტს თავი დაანება, საქართველოს 7-ქალა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯაბა მალაღურაძემ გუნდის კაპიტნად ნათია გავაშელი დაასახელა.

ახლადგამომცხვარი კაპიტანი სპორტზე 3 წლიდან დადიოდა. ის 8-9 წლის განმავლობაში ტანვარჯიშით იყო დაკავებული, ხოლო მერე ფრენბურთზე გადაერთო და 5-6 წელი სპორტის ამ სახეობაში გაატარა. 5 წლის წინათ ნათია რაგბით დაინტერესდა და რუსთავის „ხარებში“ მივიდა, ოვალურ ბურთს ალღო მალე აუღო და საქართველოს ნაკრებში უხმეს, წელს კი საპასუხისმგებლო საქმე – კაპიტნობა ანდეს.

„რაგბიზე ჩემი ძმა და დეიდაშვილი დადიოდნენ, თუმცა, მე ბავშვობაში სხვა სპორტით ვიყავი გატაცებული. 5-6 წლის წინათ ჩემი თანაგუნდელი ფრენბურთიდან რაგბიზე გადავიდა და ისე მოიხიბლა, მითხრა – ძალიან მაგარი სიტუაციაა და შენც აუცილებად უნდა სცადოო. ასე შემთხვევით მოვხვდი რუსთავის „ხარებში“, სადაც პირველი ნაბიჯები ლაშა კაკაბაძის ხელმძღვანელობით გადავდგი. მართლა ძალიან კარგი სიტუაცია იყო და ვხვდებოდი, რომ რაგბი დღითიდღე მიყვარდებოდა. მერე ნაკრებში დამიძახეს, რაც უკვე სასწაული იყო და რაგბის ჩემი ცხოვრება სრულად დავუკავშირე. ძალიან დამეხმარა 7-ქალას მწვრთნელი გიორგი მაისურაძე, რომელმაც რაგბისათვის საჭირო ფიზმომზადება ფაქტობრივად თავიდან გამატარა და ახლა მოედანზე თავს კარგად ვგრძნობ“ – იხსენებს რაგბიზე მისვლის დღეებს აწ უკვე 7-ქალას კაპიტანი, რომელიც თვლის, რომ ძალიან გაუმართლა, რადგან აქვს შესაძლებლობა საკუთარი ქვეყნისთვის ღირებული რამ გაკეთოს:

„18 წლის ვიყავი და თავიდან ვერც ვაცნობიერებდი, რას ნიშნავდა ნაკრებში დაძახება. ერთი ის იყო, რომ მიხაროდა და სასიამოვნო გარემოში აღმოვჩნდი, თუმცა, მერე მივხვდი, რამდენად დიდი ნაბიჯი გადავდგი. 20-22 წლის ასაკში ყველას არ ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყნისთვის რაიმე ღირებული გააკეთოს და ამ მხრივ ნამდვილად გამიმართლა“.

გავაშელი ნაკრების კაპიტნად წელს დაასახელეს და მას გუნდი მოედანზე ჯერ არ გაუყვანია, თუმცა, კარგად გრძნობს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აკისრია:

„დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც შენი ქვეყნის ნაკრების კაპიტნად გირჩევენ. ეს არაა პრივილეგია, რადგან მე ჩვეულებრივ ადამიანად ვრჩები, რომელმაც შესაძლოა შეცდომა დაუშვას. სათამაშო სახეობებში და განსაკუთრებით რაგბიში ერთი ადამიანი ვერაფერს წყვეტს და ჩემი გოგონების იმედი მაქვს, რომლებიც ზუსტად ვიცი, მოედანზე არასდროს ნებდებიან და მუდამ ბოლომდე იბრძვიან. ჩვენ უპირველესად მეგობრები ვართ და თუ საჭირო გახდება, მზად ვარ მათთვის მაგალითის მიმცემი ვიყო, თუმცა, დარწმუნებული ვარ, სათითაოდ ყველას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რას ნიშნავს ქვეყნის სახელით თამაში“.

საქართველოს 7-ქალა ნაკრებმა 2018 წელს ხელშესახებ წარმატებას მიაღწია, როდესაც კონფერენცდივიზიონი მოიგო და „ალაფაზე“ აღზევდა, სადაც შარშან ადგილი შეინარჩუნა:

„ეს წარმატება გუნდის ყველა წევრისათვის პირველი იყო: მიზანს მივაღწიეთ, ზედა დივიზიონში ავედით და ემოციებისგან ცრემლებს ვერ ვიკავებდით. შარშან უფრო მაღალი დონის გუნდებს ვეთამაშეთ და ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათაც მალე დავეწევით. მე 5 წელია რაგბის ვთამაშობ, ზოგმა 2 წლის წინათ დაიწყო სიარული და ასეთ დროს სისტემის აწყობა რთულია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, შევთამაშდებით და მომავალ ტურნირზე მეტს მივაღწევთ“.

ნათია გავაშელი განსაკუთრებით ემადლიერება ნაკრების მწვრთნელებს და მენეჯერს:

„გოგონები რაგბიში სხვადასხვა სპორტიდან ვართ მოსული და ყველანი ვთანხმდებით, რომ ასეთი დამოკიდებულება, ერთიანობა არსად ყოფილა. ამისათვის მადლობას ვუხდი მწვრთნელებს – ჯაბა მალაღურაძეს და გიორგი მაისურაძეს. ჩვენთან ურთიერთობა იოლი არაა, თუმცა, ისინი ბევრს შრომობენ, მუდამ ჩვენს განვითარებაზე არიან ორიენტირებული და გვიცავენ იმ ნეგატივისგან, რაც არცთუ იშვიათია. ასევე დიდი მადლობა ჩვენს მენეჯერ ია ხურცილავას, რომელიც თან გვყვება და საუკეთესო პირობებს გვიქმნის. ის ძალიან კარგი ადამიანი და საუკეთესო მენეჯერია.

ბევრი ფიქრობს, რომ რაგბი მხოლოდ კაცების თამაშია და იქ გოგონებს არაფერი ესაქმებათ, თუმცა, რეალურად ასე სულაც არაა. რაგბი ჭკვიანური თამაშია, სადაც ნაკლები კონტაქტის და ენერგიის დახარჯვით უნდა იპოვო სივრცე, რათა შენ ან შენმა გუნდელმა გაქცევა მოახერხოს და ლელო გაიტანოს. ამისათვის ინტელექტია საჭირო და ძალიან ბევრ გოგონას რაგბის თამაში მამაკაცზე უკეთ შეუძლია“.

და მაშინ, როდესაც COVID-19-ის პანდემიის ფონზე აქტიური სპორტული ცხოვრება თითქმის ყველგან გაჩერებულია, ნათია გავაშელი ძირითად დროს განათლებას უთმობს, რაც გონების სავარჯიშოდ და ინტელექტის ასამაღლებლად საუკეთესო საშუალებაა:

„უკვე 3-4 თვეა არ გვივარჯიშია და რაგბი ძალიან მომენატრა – განსაკუთრებით გარემო და თანაგუნდელები. ეს პერიოდი სახლის პირობებში მსუბუქად ვვარჯიშობ, მოსაწყენად კი ნამდვილად არ მცალია. თსუ-ს სტუდენტი ვარ და ეს პერიოდი ძირითადად სწავლას დავუთმე, რისი საშუალებაც ტურნირებისთვის მზადების პირობებში ნაკლებად მაქვს. სპორტი გარკვეულ ასაკამდე გრძელდება და ცოდნის მიღება აუცილებელია. გარდა ამისა, სწავლა გონების სავარჯიშოა და აზროვნების უნარს გიმაღლებს, რაც თამაშისთვისაც აუცილებელია“.

კობა კობახიძე

თბილისსა და მის გარეუბნებში ისევ ხმება ხეები!

სოციალურ ქსელში ვრცელდება ფოტოკადრები, რომლებშიც ჩანს, რომ მთაწმინდასა და ლისის ტბაზე ხეები მასობრივად ხმება. კადრებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და, როგორც კომენტარებიდან ირკვევა, მსგავსი სიტუაცია დედაქალაქის მრავალ უბანშია.

სპეციალისტები ამბობენ, რომ თბილისსა და მის შემოგარენში ფიჭვების 90%-ის გახმობის მიზეზი ძირითადად ხეების რესურსის ამოწურვაა, ვინაიდან ხელოვნურად გაშენებული ფიჭვების სიცოცხლისუნარიანობა 50-60 წელია. მცირე დაავადებასაც ვერ უმკლავდება ამ ასაკის ხე.

აღსანიშნავია, რომ შავი ფიჭვი თავისი ბუნებრივი გავრცელების არეალში 300-დან 500 წლამდე ცოცხლობს, დედაქალაქში გახმობა კი ამ სახეობის ფიჭვებმა ძალიან ადრე დაიწყეს.

ეკოლოგი **კახა ბახტაძე** აცხადებს, რომ, ზოგადად, ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს თბილისის გარშემო, რაც წიწვოვანი ხეების დაავადებით აიხსნება. თუმცა ხშირია ფაქტები, როდესაც ადამიანები ამას ბოროტად იყენებენ და ხელოვნურად ანადგურებენ ხეებს. ამიტომ აუცილებლად უნდა მოხდეს ცალკეული შემთხვევების შესწავლა, ფიტოსანიტარული კვლევები უნდა ჩატარდეს და ამის შემდეგ უნდა გაირკვეს, რეალურად რა ხდება. ეს ყველაფერი თბილისის მერიის პრეროგატივაა, რადგან თბილისის ხეებზე პასუხისმგებელი თბილისის მერიაა. ამას გარდა, არის მეორე სამსახური – ეკოსერვისი თბილისის მერიის დაქვემდებარებაში და ისინიც ამ მიმართულებით მუშაობენ.

ეკოლოგის განმარტებით, გამხმარი ხეების ჩანაცვლება მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით მუშაობდა მსოფლიო ველური ბუნების ფონდი. მათი რეკომენდაცია იყო, რომ ფიჭვნარი და წიწვოვანი ხე-მცენარეები, რომელთა დარგვაც საქართველოში აქტიურად ხდებოდა და, რომლებიც კლიმატის ცვლილების შედეგად მოწყვლადნი აღმოჩნდნენ, ბევრი დაავადება უჩნდებოდათ, ადგილობრივი სახეობებით, ანუ ფოთლოვანი მცენარეებით ჩანაცვლებულიყო.

„თუ დააკვირდებით, წყნეთში, იქ, სადაც ხმება წიწვოვანი მცენარეები, თავისით, ბუნებრივად ამოდის ფოთლოვანი მცენარეები, ანუ ფოთლოვანები თვითონვე ანაცვლებენ წიწვოვანებს, ისინი უფრო მედეგნი არიან დაავადებების და კლიმატური ფაქტორების მიმართ. თუმცა არის ბევრი ფაქტი, როცა წიწვოვანებს ძალითაც ახმობენ, რათა სასურველი ტერიტორიის განაშენიანება მოახდინონ. ამიტომ თბილისის შიდა ტყეებს ბოლომდე უნდა მიენიჭოს ტყის სტატუსი და უნდა იყოს მკაცრად დაცული“, – აცხადებს კახა ბახტაძე.

მისივე განმარტებით, ლისის ტბის გარშემოც, წყნეთის გარშემოც, მთაწმინდაზეც, ყველგან მსგავსი სიტუაციაა. რამდენჯერმე სცადეს ბრძოლა და მულტშეწამვლა ამ ტერიტორიების, მაგრამ ამაოდ. რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზეც მთლიანად გახმა ფიჭვის ხეები. დაავადება ძალიან აზიანებს ამ მცენარეებს და ვერ ვიტყვით, ვიღაცამ ძალით დააზიანა. თუმცა კერძო შემთხვევებიც არის, როცა განგებ აზიანებენ, ძირი აქვთ ხეებს გამომწვარი, ან ისეთ ნივთიერებებს უსხამენ, რომ ხის გახმობა გამოიწვიონ იმ მიზნით, რომ შემდეგ გამოიყენონ ეს ტერიტორიები.

მისივე თქმით, წიწვოვანი გაზრდილი მცენარეებიც არ გამოიყურება ჯანსაღად, ანუ თავიდანვე წიწვოვანები პრობლემური მცენარეებია. თავის დროზე მათი განაშენიანება იმით იყო განპირობებული, რომ წიწვოვანები სწრაფად მზარდი იყო, სწრაფი ეფექტის მიღება უნდოდათ, მაგრამ ძალიან ბევრი წიწვოვანი დაიღუპა, დაავადებულები მოჭრეს, რათა სხვა მცენარეს არ გადასდებოდა დაავადება.

„თბილისის მერიამ კვლევა ჩაატარა, მათ ბოტანიკურ ბაღთან ერთად იმუშავეს და შეარჩიეს სხვადასხვა სახეობები. საუბარია თბილისში ფოთლოვანი სახეობების შემოტანაზე, რომელიც მდგრადი, გამძლე იქნება სწორედ ბუნებრივი გარემოს გამოწვევების მიმართ“.

ეკოლოგი **ნუგზარ სულამანიძე** აცხადებს, რომ ხეების გახმობა ხშირად უკავშირდება მავნებლებს. ერთი პერიოდი, მუხები იმერეთში ხმებოდა სწორედ დაავადებების გამო.

„ვფიქრობ, ხეების გახმობა მავნებლების მიზეზითაა. ხელოვნური ჩარევა მეეჭვება. ქალაქში ასეთი რამ იშვიათად ხდება. ეს უფრო სოფელში იციან, ერთორ ხეს გაუხმობენ ხოლმე ვიღაცას“...

მანანა ნოზაძე.

სატყეო სამსახურის ახალი ოფისი

ძალაძ ამბროლაურში სატყეო სამსახურის ახალი ოფისის მშენებლობის მიმდინარეობას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე ადგილზე გაეცნო. ოფისის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, განახლებულ სივრცეში ისარგებლონ ეროვნული სატყეო სააგენტოს ყველა მომსახურებით. შენობა აღჭურვილი იქნება მაღალი სტანდარტების საჭირო ინვენტარით და ტექნიკით. ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში არჩილ ჯაფარიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



სანთელი

ოლიკო ტაბლიაშვილი

40 დღე შესრულდა, რაც ჩვენმა უძვირფასესმა მეგობარმა, ყოფილი „პენსიებისა და დახმარების დარიცხვისა და გაცემის რესპუბლიკური ცენტრის“ დირექტორმა ოლიკო ტაბლიაშვილმა დაგვტოვა. საოცარი უმწეობის შეგრძნება გეუფლება, როდესაც ცხოვრებიდან ისეთი ადამიანები მიდიან, ვისგანაც ბევრს სწავლობ, თუ როგორ იცხოვრო და იღვაწო ღირსეულად.

ქალბატონო ოლიკო, თქვენ ჩვენთვის, შენი უახლოესი მეგობრებისთვის, დარჩებით ცოდნის, ერთგულების, მეგობრობის, ადამიანთა ჭირსა და ლხინში გვერდში დგომის ეტალონად.

უღრმესი მადლობა, რომ იყავით ჩვენი გუნდის წევრი! მადლობა ერთად გატარებული ყოველი დღისთვის!

ძალიან დაგვაკლდებით... უფალმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ!

მეგობრები

მოწყობილობა, რომელიც ელექტროენერგიას ჩრდილისგან გამოიმუშავებს

მართალია, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფილმის ნივთს ჰგავს, მაგრამ ახლახან წარმოდგენილი ჩრდილის ეფექტით ენერგიის გენერატორი (SEG) ნამდვილი პროტოტიპული მოწყობილობაა. ერთ მშვენიერ დღეს ამ მომაჯადოებელმა კონცეპტმა შეიძლება, მთლიანად გარდაქმნას დახურულ შენობებში განახლებადი ენერგიის მიღების გზები.

ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად, SEG-ი სიბნელესა და სინათლეს შორის კონტრასტს იყენებს. შედგება დრეკადი პლასტიკის ნაჭერზე განთავსებულ სილიკონის ფირფიტებზე დაწყობილი ოქროს თხელი ფენების სერიებისგან.

როგორც წესი, მზის სინათლისგან განახლებადი ენერგიის საწარმოებლად ჩრდილები დიდი პრობლემაა, ამ შემთხვევაში კი ის ენერგიის გამომუშავების წყაროდ იქცა. შემქმნელების განცხადებით, ეს ტექნოლოგია საწარმოებლად მზის პანელებზე იაფია და წარმოქმნის მცირე ოდენობით ენერგიას, რომლის გამოყენებაც შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მობილურ მოწყობილობებში.

„ჩრდილები ყველგან არის და ჩვენ ხშირად ის ხელსაც გვიშლის. ტრადიციულ ფოტოვოლატურ ან ელექტროოპტიკურ მოხმარებაში, სადაც მოწყობილობების ენერგიით მომარაგებისთვის სინათლის მუდმივი წყარო გამოიყენება, ჩრდილების არსებობა არასასურველია, რადგან ხელს უშლის მოწყობილობის წარმადობას“, – ამბობს სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის მასალების მეცნიერი ტან სვი ჩინგი.

მისივე თქმით, აღნიშნულ კვლევაში მათ ჩრდილების მიერ წარმოქმნილი განათების კონტრასტი ენერგიის არაპირდაპირ წყაროდ გამოიყენეს. განათებაში არსებული კონტრასტი იწვევს ძაბვის სხვაობებს ჩრდილებსა და განათებულ მონაკვეთებს შორის, რის შედეგადაც წარმოიქმნება ელექტროდენი. როგორც იგი აღნიშნავს, ჩრდილისგან ენერგიის მიღების ეს ახალი კონცეპტი უპრეცედენტოა.

სწორედ ჩრდილსა და სინათლეს შორის არსებული ეს კონტრასტი ხდის SEG მოწყობილობას ეფექტიანს – ჯგუფმა დაადგინა, რომ მოძრავ ჩრდილებში ის ორჯერ უფრო ეფექტიანია, ვიდრე მზის ჩვეულებრივი პანელი იგივე გარემოში.

როდესაც მოწყობილობა მთლიანად ჩრდილშია ან მთლიანად სინათლეში (ანუ, როდესაც ფენებზე ძაბვა თანაბარია), ან ძალიან ცოტა ენერგიას გამოიმუშავებს, ან საერთოდ არაფერს.

ჯგუფმა აჩვენა, რომ ღრუბლებით ან ხის ტოტების მოძრაობით ან უბრალოდ მზის მოძრაობით წარმოქმნილ გადაადგილებად ჩრდილებში, მოწყობილობა გამოიმუშავებს ციფრული საათის მუშაობისათვის საკმარის ენერგიას (1.2 V). მომავალში შესაძლებელია მისი გაძლიერებაც.

მოწყობილობა SEG-ის გამოყენება ასევე შესაძლებელია სენსორადაც – მასზე გარდამავალი ჩრდილების საშუალებით შეუძლია ჩაიწეროს ობიექტის მოძრაობა. ამას კი შესაძლოა, მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდეს სახლის ჭკვიან მოწყობილობებში, ანდაც შეიქმნას საკუთარ ენრგიაზე მომუშავე სენსორები.



ამ ეტაპამდე მისასვლელად სამუშაო ჯერ ძალიან ბევრია, მაგრამ ამ ეტაპზე, მკვლევრებს მის შესაქმნელად საჭირო ხარჯების შემცირება სურთ – ოქროს ფირის ჩანაცვლება უფრო სხვა, იაფი მასალით. შესაძლებელია მისი გარდაქმნა სატარებელ მოწყობილობადაც.

მომავალში, განახლებადი ენერგიის რაც უფრო მეტ გზას ვიპოვით, უფრო წარმოსახვითი შეიძლება გახდეს ჩვენი მოწყობილობები და ენერგიის მისაღებად უფრო ნაკლებად ვიქნებით დამოკიდებული წიაღისეულ საწვავზე. თოვლის ფიფქებთან თუ ბაქტერიებთან ერთად, ალტერნატიული ენერგიის წყაროებს ახლა უკვე შეგვიძლია დავამატოთ ჩრდილიც.

„მოდით, ყველამ ერთად ვიმოგზაუროთ საქართველოში!“

საქართველო შიდა ტურიზმისთვის 15 ივნისიდან იხსნება. COVID-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვები ეტაპობრივად მოხსნილია და 15 ივნისიდან საქართველოს მოქალაქეებს ტურისტულ აქტიობაში ჩართვა და სხვადასხვა ლოკაციების მონახულება შეუძლიათ. 15 ივნისიდან აღდგება შიდა რეგულარული ფრენებიც.

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში განმარტავენ, რომ შიდა ტურიზმის გასახსნელად კერძო სექტორი მზადაა, ადმინისტრაციის ჩართულობით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია ყველა ის რეკომენდაცია და გაიდლაინი, რომელიც ტურისტულმა ობიექტებმა თუ ტურისტულმა ტრანსპორტმა უნდა გაითვალისწინოს.

„შიდა ტურიზმი ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში, კიდევ უფრო დიდ ღირებულებას იძენს ტურისტული ნაკადების გაზრდა. რაც ჩვენი ტურიზმის ინდუსტრიის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია.

თითოეულ ჩვენგანს, საქართველოს მოქალაქეს ახლა გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, რომ გვერდში დავუდგეთ ასეთ მნიშვნელოვან ინდუსტრიას. ხელი შევუწყოთ, მცირე, საშუალო და მსხვილი ტურისტული კერძო სექტორის განვითარებას.

ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად და ალბათ მსოფლიოში ძალიან ცოტაა მსგავსი უსაფრთხოების ინდექსის პოზიციონირებული ქვეყანა.

ნამდვილად ძალიან ლამაზია ის ტურისტული ლოკაციები, რომელიც საქართველოს ძალიან უხვად გააჩნია და აქედან გამომდინარე, მოდით, ყველამ ერთად ვიმოგზაუროთ საქართველოში. ჩვენს მოქალაქეებს ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ ბევრი ადგილი აქვთ სანახავი. ყოველთვის გვქონდა ალბათ სურვილი, რომ საქართველოში კიდევ უფრო მეტად გვემოგზაურა და ალბათ წლევანდელი წელი არის ის შესაძლებლობა, რომელიც ვფიქრობთ, რომ ძალიან სწორად იქნება შეფასებული მოსახლეობის მხრიდან. ჩვენ ჩვენის მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბევრ ადამიანს გავუჩინოთ საქართველოში მოგზაურობის სურვილი. კერძო სექტორი მზადაა და მოტივირებულია, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან ისე, რომ ბოლომდე იყოს დაცული ის ნორმები და რეგულაციები, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინერგება COVID-19-თან მიმართებაში“, — აცხადებს მარიამ ქვრივიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიძოგავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

კეტრინ სალივანი პირველია

NASA-ს ყოფილი ასტრონავტი კეტრინ სალივანი დედამიწის ყველაზე ღრმა წერტილში — მარიანას ღრმულში დაეშვა.

ამით 68 წლის სალივანმა ერთდროულად 2 რეკორდი მოხსნა — გახდა პირველი ქალი, რომელმაც ღრმული მოინახულა და პირველი ადამიანი, ვინც კოსმოსსა და პლანეტის ყველაზე ღრმა წერტილში იმყოფებოდა.

სალივანი ღრმულში პილოტ ვიკტორ ვესკოვოსთან ერთად დაეშვა. მკვლევრებმა წყნარი ოკეანის ფსკერზე, 11 კილომეტრის სიღრმეზე ფაუნა შეისწავლეს და რუკები დააზუსტებს.

მარიანის ღრმულში ექსტრემალური სიბნელე, უზარმაზარი წნევა და დაბალი ტემპერატურა აღინიშნება. იქ გადარჩენა მხოლოდ მარტივ მიკროორგანიზმებს შეუძლიათ. სალივანი მხოლოდ მერვე ადამიანია, ვინც იქ დაეშვა. 37 წლის წინ კი ის პირველი ქალი გახდა, რომელიც ღია კოსმოსში გავიდა.

28 წელი საკანში... შეცდომით

აშშ-ში უდანაშაულო კაცი, რომელიც 4 წლის აფროამერიკელი გოგოს მკვლელობისთვის გაასამართლეს, მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მან 28 წელი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა.

1988 წელს 4 წლის აფროამერიკელი გოგოს ცხედარი ფილადელფიაში, მისი სახლის მახლობლად, ტელევიზორის ყუთში იპოვეს. მომხდარიდან 4 წლის შემდეგ პოლიციამ ბავშვის მკვლელობის ბრალდებით 23 წლის უოლტერ ოგროდი დააკავა.

1996 წელს მეორე სასამართლო პროცესი გაიმართა, რომლის შემდეგაც აუტიზმით დაავადებული კაცი მკვლელობაში დაადანაშაულეს და მკვლელობა სექსუალურ ძალადობას დაუკავშირეს. მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რის შემდეგაც პენსილვანიის შტატის ციხეში 28 წელი გაატარა.

2020 წლის იანვარში ჩატარებულმა დნმ-ის ტესტმა აჩვენა, რომ ის მკვლელობის ადგილას 1988 წლის 5 ივნისს არ იმყოფებოდა.

პროკურორები აცხადებენ, რომ მისი დანაშაული დადასტურებული არ არის, ამიტომ განაჩენი შეეცვალა. სასამართლომ დაადგინა, რომ კაცმა პოლიციელების მხრიდან ზეწოლის შედეგად ცრუ ჩვენება მისცა. გამამართლებელი განაჩენის შემდეგ კაცმა განაცხადა, რომ ოჯახის წევრებს შეხვდება და ოჯახურ სადილს გამართავს.

ამერიკელი „გირჩი“

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ყოფილმა კალათბურთელმა, მეტა სანდიფორდ-არტესტმა, რომელიც 2024 წელს აშშ-ის პრეზიდენტად კენჭისყრას გეგმავს, Twitter-ზე წინასაარჩევნო დაპირებების გაცემა დაიწყო.

ყოფილი კალათბურთელის თქმით, პრეზიდენტად მისი არჩევის შემთხვევაში, მარიხუანა ყველა შტატში ლეგალური და უფასო იქნება. გარდა ამისა, თითოეული ამერიკელი ყოველთვე უფასოდ ერთ ყუთ ბურბუშელას მიიღებს, ქვეყანაში კი ქალის რძის თავისუფალი გაყიდვა იქნება შესაძლებელი.

40 წლის სანდიფორდ-არტესტი (რონ არტესტი) „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“, „ჩიკაგო ბულსის“, „ნიუ-იორკ ნიქსის“ და კიდევ რამდენიმე კლუბის ღირსებას იცავდა. 2004 წელს ის ლიგის საუკეთესო მცველი გახდა. პროფესიული კარიერა მან 2017 წელს დაასრულა.

რონ არტესტმა სახელი ორჯერ შეიცვალა. 2011 წელს მან მეტა უორლდ პისი დაირქვა, 2020 წლის მაისში კი მეტა სანდიფორდ-არტესტზე შეჩერდა.

კოლუმბს თავი „მოჰკვეთეს“

აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის გამო მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეებმა ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლს თავი „მოჰკვეთეს“.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. ქალაქის მერის, მარტი უოლშის განცხადებით, ძეგლს, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში რამდენჯერმე გახდა ვანდალების სამიზნე, დროებით საცავში გადაიტანენ.

10 ივნისს ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდში საპროტესტო აქციების მონაწილეებმა ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი ჩამოაგდეს აშშ-ის დროშაში გაახვიეს, დაწვეს, შემდეგ კი ტბაში გადაადგეს.

ბელგიის ქალაქ ანტვერპენში რასიზმთან ბრძოლის ფარგლებში მეფე ლეოპოლდ II-ის ძეგლი მოხსნეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0393; ევრო - 3.4551;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8766;
100 რუბლი - 4.4205; თურქული ლირა - 0.4476;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7878;
1000 სომხური დრამი - 6.3059.

ამინდი 12 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge